პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 83 (19824) ხუთშაბათი, 9 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შაბათობა გვიხმობს: მაქსიმალური ეფექტიანობით

— ორ მილიონზე მეტი კაცი მიიღებს მონაწილეობას ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში. დამზადდება 20 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, — თქვა საინფორმაციო კორესპონდენტთან საუბარში შაბათობის ორგანიზაციისა და მოწყობის რესპუბლიკური შტაბის თავჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ს. ხარბედიამ. — ხუთწლედის ფონდში საქართველოს მშრომელები დაახლოებით სამ მილიონ მანეთს გადარიცხავენ. ამ დღეს მრავალი მათგანი იშრომებს წლის დამდეგიდან დაზოგილი ნედლეულით, მასალითა და ელექტროენერგიით. ათასობით მშრომელი გამოვა სტაჟიური უბედურებით დაზარალებული ობიექტების აღდგენაზე, მიიღებს მონაწილეობას ქალაქებისა და რაიონების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში.

ასეთია წინასწარი მონაცემები, რომლებიც აქვს ლენინური კომუნისტური შაბათობის მომზადებისა და მოწყობის რესპუბლიკური შტაბს.

როგორც გასულ წლებში, რესპუბლიკაში შაბათობისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე მეოცე სახალხო-სამეურნეო კომპლექსის გარდაქმნამ გამოიწვია. ყველა შრომითს კოლექტივში გაემართა კრებები და მიტინგები, რომლებზეც მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, მოსამსახურეებმა, სოფლის მშრომელებმა პირობა დადეს, რომ ყველანი გამოვლენ შრომის დღესასწაულზე, მაქსიმალურ წვლილს შეიტანენ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში. შეიქმნა შაბათობის მოწყობის შტაბები, რომლებშიც შეგიდნენ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი. დავალებები განესაზღვრა ყველა საამქროს, უბანს, თითოეულ მუშასა და სპეციალისტს.

ამ დღეს უდიდესი შრომის ნაყოფიერების მიღწევის ინიციატორთა შორის არის თბილისის საავიაციო, ელმავალსაშენებელი, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნების, სოხუმის გაზის აპარატურის ქარხნის, ბათუმის ხე-ტყის დამმუშავებელი კომბინატის, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს, ქუთაისის რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, საწარმოო გაერთიანებების „საქსამთოქიმმრეწვის“, „ჭიათურმანგანუმის“, ფოთის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივები, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ამბროლაურის, რესპუბლიკის სხვა რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

საინტერესო წინადადებები წამოაყენეს მეტალურგიული ქარხნის № 1 და № 4 მარტენის ღუმლების, ტყიბულის ორყონიკიძის სახელობის შახტის, ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“, გორის ანალიზურ ხელსაწყოთა საცდელი ქარხნის მოწინავე ბრიგადებმა, [illegible] ლებმაც გადაწყვიტეს [illegible] აღწიონ რეკორდულ შრომის ნაყოფიერებას და იგი სამუშაო ნორმად აქციონ თვის ბოლომდე.

წინასწარი მონაცემებით, 3000-ზე მეტმა მუშამ იკისრა ვალდებულება შაბათობის წინა დღეებში გაორკეცებული ენერგიით იმუშაოს და 18 აპრილისათვის შეასრულოს წლის ოთხი თვის გეგმა.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა გამახვილონ იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითს კოლექტივში შობილი საგულისხმო ინიციატივებისა და თაოსნობების ფართო გავრცელებას, უდიდესი შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფას ყოველ საწარმოში, ყოველ მშენებლობაზე, ყოველ მეურნეობაში. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ დღეს მუშაობა დაზოგილი ნედლეულით, მასალით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით.

ცნობილია, თუ რა ზიანი მიაყენა რესპუბლიკას მკაცრმა ზამთარმა თავისი ზვავებით, ქარიშხლებით, წყალდიდობებით. შაბათობის დღეს ათასობით ადამიანი გამოვა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. უნდა დაისახოს ზუსტი ორიენტირები, ისინი დროულად უნდა უზრუნველყონ ტექნიკით, საშენი და სხვა მასალებით. მიწათმოქმედებმა, თავის მხრივ, უნდა დაძლიონ სტიქიით გამოწვეული სიძნელეები, დასახონ საუკეთესო აგროვადებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების მიჯნები.

საჭიროა ზუსტად განისაზღვროს ძალების გამოყენების ობიექტები, იმ ადამიანთა უქუფება, რომლებიც არ არიან დასაქმებული საწარმოო სფეროში. მათ ყველა პირობა უნდა შეუქმნან იმისათვის, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქალაქებისა და სოფლების, ახალი საცხოვრებელი მასივებისა და მიკრორაიონების, საწარმო-დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებაში.

ლენინური კომუნისტური შაბათობა უნდა იქცეს შრომის ნამდვილ დღესასწაულად, წარმოაჩინოს დიდი ორგანიზებულობისა და დისციპლინის ნიმუშები.

ДЕСЯТОЕ ВОСКРЕСЕНИЕ

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲓᲠᲝᲛᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ მოწინავე საწარმოთა თაოსნობას — 18 აპრილს მოაწყონ ლენინური კომუნისტური შაბათობა — მხურვალედ დაუჭირა მხარი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა. მისმა მშრომელებმა გადაწყვიტეს „წითელი შაბათობის“ დღეს გამოუშვან ჩინებული ხარისხის ხუთი თანამედროვე ჩარხი. ორი ათასზე მეტი კაცი დადგება სამუშაო ადგილებზე, ამდენივე კეთილმოაწყობს საწარმოს ტერიტორიას. გაერთიანების მშრომელებმა გადაწყვიტეს ამ დღეს იმუშაონ მაქსიმალური ეფექტიანობით, გამოუშვან დაახლოებით 150 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ 19 ათასი მანეთი, მათ შორის ხუთი ათასი მიღებული მოგებიდან.

ᲛᲐᲛᲐ-ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ — ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲮᲐᲖᲖᲔ

„ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს ერთ-ერთი საუკეთესო მექანიკოსია ზაურ ჯანაშია. იგი აქ 32 წელიწადია შრომობს და გულმოდგინედ აკეთებს თავის საქმეს. ვეტერანმა სპეციალისტმა საწარმოში თავისი სამი ვაჟიც — ელგუჯა, მერაბი და ომარი მოიყვანა, ავტომანქანის მართვა შეახწავლა და საიმედოდაც. ახლა, ზაურის ვაჟები 27-ტონიან „ბელაზების“ საკეს უახედან და ტოლს არავის უდებენ, პირველობენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გარდაქმნის წინა ხაზზე იღვწიან. ცვლაში ძმებს საშუალოდ 4 ათას ტონამდე მანგანუმის ზედა ფენის ქანი გადააქვთ შეუფერხებლად, რაც გეგმიან გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტია. მათ წარმატებას მამის მიერ საიმედოდ შეკეთებული მანქანების მუშაობაც უწყობს ხელს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ელგუჯა, მერაბ, ზაურ და ომარ ჯანაშიები; დიმიტროვის სახელობის მადაროთსამმართველოს კარიერზე მძიმეწონიანი მანქანები იტვირთება.

რ. ᲑᲣᲮᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ბოლო ხანს განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება პარტიული, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი, პროფესიული ეთიკის პრობლემატიკას.

ჩვენს ქვეყანაში მკვეთრი ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სულიერი გარდატეხის პერიოდმა ანლებურად წამოჭრა მარქსისტულ-ლენინური ეთიკის, როგორც მეცნიერების საკითხები, მთელი სიმწვავით მოითხოვა მისი აქტიურად ჩაყენება გარდაქმნის, საჯაროობის სამსახურში. ამას მოწმობს სკკპ XXVII ყრილობის დოკუმენტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მასალები. ფართო, არსებითი საუბარი გაიმართა ამის შესახებ ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრისას მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების ხელმძღვანელებთან ამა წლის თებერვალში.

წარმოუდგენელია ადამიანის ფაქტორის ამაღლება ადამიანის ზნეობრივი ამაღლების გარეშე.

ეთიკამ — მოძღვრებამ ზნეობრიობაზე — უნდა დააჩქაროს ჩვენში მიმდინარე პროცესები, თეორიამ გზა უნდა გაუნათოს და გაუწმინდოს გარდაქმნის, დაჩქარების, სრული საჯაროობის პრაქტიკას, და ამგვარად თვითონ უნდა გადაიქცეს მატერიალურ, მამოძრავებელ ძალად.

მოვალეობის ვრძნობა, ღირსება და სინდისიერება, სიკეთე და ზრდილობა — ამ ეთიკური კატეგორიების ერთ-ერთი უმთავრესი და უშუალო გამოხატულებაა თავმდაბლობა.

თუ პიროვნების ხასიათის გვირგვინი პატიოსნებაა, თავმდაბლობა პიროვნების სხვა ადამიანებთან, საზოგადოებასთან კეთილი ურთიერთობის სულიერი კვანძია. სრული ჭეშმარიტებაა, რომ თავმდაბლობა ადამიანს ამშვენებს, მაგრამ დღეს ადამიანის, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელის თავმდაბლობა სამოსად და სამკაულად კი არ გვჭირდება, არამედ უპირველესად იმისთვის, რომ დასახული მიზანი მოგვიახლოვოს, გაგვიადვილოს ანლებურად აზროვნება და ანლებურად მოქმედება. და მას ეს შეუძლია კიდეც, რადგან **ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲐ:**

— ხალხთან, მასასთან, კოლექტივთან მჭიდრო, სისტემატური კავშირის სულიერი მოთხოვნილებაა. და თუ ხალხს ყოველთვის არა აქვს შესაძლებლობა შეხვდეს ხელმძღვანელი, ხელმძღვანელი მიდის მასთან, როგორც ეს უკვე დაინერგა ჩვენში;

— საერო და საქვეყნო საქმეში ჩახედული ადამიანის თვისებაა (უსაქმურსა და უვიცს არც ხვირდება და არც გამოუვა თავმდაბლობა — თავი რომ დაიმდაბლოს, თვითონ ხომ უნდა იყოს მაღალ, სხვაზე მეტი იცოდეს, სხვაზე მეტი გამოსცადოს). ამიტომ მუშაობს იგი მუყაითად, უხმაუროდ, გულდგულ, ფუტკარივით. მას არ სდაალა თვითრეკლამისათვის, საზოგადოების წინაშე კოპწიაობისათვის, მოჩვენებისა და წარმოდგენისათვის.

— მართალია, პრინციპებით მაცხოვრებელი და მოღვაწე კაცის ზნეობაა. მას სჯერა საკუთარი ნიჭიერების, ღირსების, ამიტომ არ იკადრებს პირადი კეთილდღეობისთვის სხვა შეავიწროოს ან მთას შეეჭიდოს და სხვა პლანეტაზე ბაფრნა, თანამდებობა, რეგალია, ოფილე მოგთხოვოს, სახიკეთოდ რომ დაშვრება, თავს არავის შეაბეზრებს და არ ათქმევინებს: „არ მინდა შენი შრეშიო, ოღონდ ნუ შემომხვნეშიო“.

— კარგ ატმოსფეროს ქმნის კარგი ანალგაზრდობის აღსაზრდელად. წალენჯიხის რაიონის მექანიზატორს, სოციალისტური შრომის გმირს გალუშა სახოკიას დამკვრელური შრომისათვის ავტომანქანა „ვოლგა“ გამოუყვეს. თანაც იცოდნენ, რომ მისი გამრჯე ოჯახის წევრი შემოსავალი მანქანის ფასს აღემატებოდა. უარი განაცხადა: ჩემი ცოლი და ჩემი გოგონები საჭეს არ მიუსხდებიან, ბიჭი, რაღა თქმა უნდა ოცნებობს მანქანაზე, მაგრამ ისიც იცის, რომ სწავლის დამთავრებამდე, დიდი ცხოვრების სარბიელზე გასვლამდე ასე ვერ გავანებივრებ. აბა, მე კი ჩემი ტრანსპორტი მყავსო.

ერთი სიტყვით, თუმცა ჩვენებური კულტურული ფენომენია თავმდაბლობა, მაინც დიდი ადამიანია თავმდაბალი ადამიანი. და სრულიად არ არის შემთხვევითი, რომ ლენინის ბიოგრაფია მთლიანად თავმდაბლობის ნიმუშია.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია იგონებს, რომ ვლადიმერ ილიას ძე პირადი საკითხების გადაწყვეტის დროსაც კი ეკითხებოდა თავის თავს: „ნეტავ, რას იტყვიან ამის შესახებ მუშები?“.

მისი ურყევი პრინციპი იყო — ეცხოვრა ისეთსავე პირობებში, ისევე, როგორც ხალხი ცხოვრობდა.

საყოველთაოდ ცნობილია მისი დებულება: „თუ ჩვენ მუშებსა და გლეხებს კეთილსინდისიერად ვასწავლით დისციპლინას, ვალდებული ვართ დავიწყოთ საკუთარი თავით“.

რა შთამბეჭდავად ეღერს დღეს ეს ხიტყვები!

როგორ საჭიროა დღეს, როგორ აუცილებელი ხელმძღვანელის პირადი მაგალითი, ყველასი და უპირველესად პარტიული ხელმძღვანელისა. მაშინ უფრო იოლად გავაფერმკრთალებდით ანალგაზრდულ ნრეებში, სამწუხაროდ, პოპულარულ, ამწუთიერი სიამოვნების დევიზს, რომელიც მათ თავმდაბლობის, მოკრძალებისა და კეთილმოსილების უგულებელყოფისაკენ უბიძგებს, და ეგრეთ წოდებულ პრაქტიციზმს, მოძალების, ძალადობის კულტს უნერგავს.

ეს თანამედროვეობის საჭიროზელი, საჭირბოროტო პრობლემებია და ამიტომ აღმოჩნდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დიდი ყურადღების არეში. კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ შეკავებულ ისმის კომკავშირული მუშაობის გაუმჯობესებისა და ანალგაზრდობის მეთაური კადრების საკითხები.

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ცხოველი ინტერესითა და იმედით მოელის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმს, რომელიც დასახავს ყველი დარგისა და სფეროს ხელმძღვანელი კადრების მომზადებისა და სრულყოფის კონკრეტულ გზებს და შედეგიან ღონისძიებებს.

დღეს „კომუნისტი“ ხსნის ახალ რუბრიკას: „გარდაქმნის ეთიკური კვანძი“ (იხ. ნომრის მე-3 გვ.). რედაქციამ უკვე შეუკვეთა წერილების თემატური სერია რესპუბლიკის გამოჩენილ მოღვაწეთ, შრომითი კოლექტივების და ანალგაზრდობის წარმომადგენლებს, ცხადია, იმათ, ვისაც სხვისთვის რჩევის მიცემის, მოწოდებისა და შეფასების მორალური უფლება აქვს.

გამოგვეხმაურეთ, ყველით თქვენს წერილებსაც, ძვირფასო მკითხველებო! გულწრფელი, საჯაროობის შესატყვისი ყოველი თქვენი მოსაზრება უთუოდ საქმეს ნაადგება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

7 Ა�პᲠᲘᲚᲡ გამართულ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ძირითადად მოიწონა პროექტი კომპლექსური პროგრამისა „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ბარისხი-90“ და რეკომენდაცია მისცა დამუშავების შემდეგ შეიტანონ იგი ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის განსახილველად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა ამერიკაკავასის რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებებში ტვირთზიდვის დროს დაშვებული წამატებებისა და თვალისსაჩვენის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა. ამერიკაკავასიის რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებების, მშენებლობის სამინისტროს, საზეო მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქაგრომშენის, საქმთავარწყალმშენის, რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „შავმეორეულლითონის“ მუშაობა ტვირთის გამგზავნ საწარმოებსა და რკინიგზის სადგურებში მოძრავი შემადგენლობის გამოყენების მაჩვენებლების შესახებ საანგარიშო მონაცემების უტყუარობისათვის, წამატებებისა და თვალისსაჩვენის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის უზრუნველყოფისათვის მიჩნეულია არადამაკმაყოფილებლად. აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები მკაცრად გაფრთხილეს. დასახულია ამგვარი ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილების ღონისძიებანი. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ მოწყობილი შემოწმების მასალები ტვირთზიდვის ფოკუმენტებში ტვირთის წონის წამატებათა შესახებ რეაგირებისათვის გადაეგზავნა რესპუბლიკის პროკურატურას. გათვალისწინებულია, რომ ცენტრალური კომიტეტი წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით განიხილავს რკინიგზის ტრანსპორტზე წამატებებისა და თვალისსაჩვენის ფაქტების დაუშვებლობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგებს.

განიხილა რა ქალაქ მარნეულში სასმელი წყლის რეზервუარის ჩამონგრევის ფაქტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრად დაგმო ბრალეულნი. საქართველოს სსრ სახლთა-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დაევალა უმოკლეს ვადაში შეაკეთოს და აღადგინოს დაზიანებული რეზервარი. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

ბიუროს სხდომაზე განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობის კომპლექსური შემოწმების მასალები. ფაკულტეტის დეკანატისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობა კათედრების საქმიანობის გაძლიერებისათვის, იურიდიული კადრების სწავლებისა და აღზრდის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის ითვალისწინებულ ღონისძიებათა აღასრულებლად არის მინდობილი. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს დაევალათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან ერთად განიხილონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საქმიანობის საკითხი და დასახონ იურიდიული კადრების მომზადების ძირეული გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დასახა წარმოების საბოლოო შედეგებით აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სამუშაოთა და რესპუბლიკური რაგოლენის აპარატის მუშაკთა დაინტერესების გაზრდის ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა მიხედვით სატელეფონო და სხვა სახეობის კავშირგაბმულობით მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაობისა და 1987-1990 წლებში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის განვითარების დაჩქარების დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

მიღებულია აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი რესპუბლიკის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის შემოღების, 1986/87 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის მეურნეობათა მომზადებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მათი შეუფერხებელი მომარაგებისათვის გამოცხადებული საწარმო-ორგანიზაციათა რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსის შედეგების შესახებ.

ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი დასახულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა 1987 წლის საკურორტო სეზონისათვის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მომზადების საქმეში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანების საკითხი. დასახულია რესპუბლიკის კურორტებზე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე მიღებულია გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო ცხოვრების სხვა საკითხებზეც.

ᲓᲐᲕᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲣᲜᲕᲐ

ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲐ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲐ

მეთორმეტე ხუთწლედში და საერთოდ 2000 წლამდე პერიოდისათვის რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე დასახულია სწრაფი ტემპით წინსვლის რთული და საპატიო ამოცანები. საერთოდ, როცა ლაპარაკია რკინიგზის ტრანსპორტის ეფექტიანობის გადიდებაზე, იგულისხმება ტვირთზიდვის და მგზავრთა გადაყვანის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს კი უკავშირდება ვაგონების რაციონალურ გამოყენებას, მათი ბრუნვის დაჩქარებას. ამ მიმართულებით არსებული რეზервების მაქსიმალური ამოქმედება არნახულად გაზრდის ამ სახეობის ტრანსპორტის პოტენციურ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს მომხმარებელისათვის დამატებით ათას მილიონობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთის დროულ მიწოდებას. ძალიან დიდ ზარალს აყენებს ქვეყნის ეკონომიკას ყოველი მოცდენილი ვაგონი, ტვირთის მიმდების მიერ მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ცხადია, იცით სამეურნეო მუშაკებმა, მაგრამ ისინი ერთნაირი მონდომებით როდი უდგებიან საქმეს. ბევრმა მათგანმა ბოლო ხანს შეცვალა რკინიგზის ტრანსპორტისადმი დამოკიდებულება, ძლევს უწყებრიობას და ახლა სიტუაციას სახელმწიფოს პოზიციებიდან აფასებს, თუმცა ყველა ასე როდი იქცევა.

როცა ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის გაწეული მუშაობის თებერვლის შედეგებს ვაჯამებდით, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ბოლო პერიოდში დაისახა ტვირთის მიმღებთა მიერ ვაგონების მოცდენის შემცირების ტენდენცია. კარგია, რომ ეს პროცესი, მარტის მონაცემებით, უფრო გაღრმავდა. არა, ტვირთის მიმღებთა მიზეზით გასულ თვეშიც საკმაოდ სოლიდური რაოდენობის — 1057 ვაგონი მოცდა, მაგრამ შარშანდელ შესაბამის პერიოდზე დაყოვნებულ 2987 ვაგონთან შედარებით ეს ციფრი სამჯერ ნაკლებია. 24 ვაგონი ვერ გადმოცალა მარტში დროულად საავტომობილო გზების სამინისტრომ, მაგრამ, როცა შარშანდელ შესაბამის პერიოდის მაჩვენებელს გადავხედეთ და 191 დაყოვნებული ვაგონი ვნახეთ, იმედი მოგვეცა, რომ აპრილში გზის მშენებლები მთლიანად გამოასწორებენ მდგომარეობას. ზემოთ ნათქვამი ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსაც ეხება, რადგან 22 მოცდენილი ვაგონი შარშანდელ 122-თან შედარებით მაინც წინსვლაა და მომავალში, ალბათ, ყველაფერი მოწესრიგდება. დიდი სამრეწველო საწარმოებიდან დაგვიღალატა რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, რომელსაც მარტში 45 ვაგონი დარჩა გადმოუცლელი. ვამბობთ დაგვიღალატაო იმიტომ, რომ წინა თვეებში და შარშან ამ საწარმოს მისამართით ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის არაერთი საქმები სიტყვა გვითქვამს. ეჰვგარშია, რომ რუსთაველი მეტალურგები, საგრძნობლად ნაკლებია. ჰოდა, მეტი მონდომება და გულისხმიერება რომ გამოგვეჩინა, გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევდით.

ამას, უწინარეს ყოვლისა, ვლაპარაკობთ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროსა და სახაგრომრეწვის ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომლებმაც მარტში შესაბამისად 155 და 122 ვაგონი დაყოვნეს. სხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან ყველაზე მეტი ვაგონი — 54 მოცდა ციკავშირის სისტემაში, თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შარშანდელ 1 მაისის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, გარდაქმნის წინა ხაზზე იღვწიან. ცვლაში ძმებს საშუალოდ 4 ათას ტონამდე მანგანუმის ზედა ფენის ქანი გადააქვთ შეუფერხებლად, რაც გეგმიან გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტია. მათ წარმატებას მამის მიერ საიმედოდ შეკეთებული მანქანების მუშაობაც უწყობს ხელს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ

ᲨᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. 7 აპრილი. (საკდისი). მთავრდება მეორე თვე, რაც იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი დფრინაევ „მირ“ ორბიტული კომპლექსით. ამ ზნის განმავლობაში კოსმონავტებმა შეასრულეს ორი სტვირთო ხომალდით მიტანილი მოწყობილობით სბაზო ბლოკის კმაღლეურის დაგეგმილი სამუშაოები, ოგრეთვე მნიშვნელოვანი მოცულობის გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

დღეს ეკიპაჟი ამოწმებს ცალკეული ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატების ფუნქციონირებას, ემზადება მომავალი სამუშაოებისათვის.

გუშინდელი სამედიცინო კონტროლის შედეგების მიხედვით იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი ჯანმრთელად არიან.

კოსმოსური ვახტის გრძელდება.

ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲐᲧᲣᲛᲑᲔᲖᲘ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ — „ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲕᲚᲔᲜᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ“.

კონფერენცია მოეწყობა დღეს, 11 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის საქმო დარბაზში (რუსთაველის პრ. 29).

დასაწყისი 16 საათზე.

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲓᲠᲝᲛᲔᲑᲘᲗ

ᲒᲔᲒᲛᲐᲡ ᲓᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲔᲡ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საფერმენტაციო თამბაქოს კომბინატს იანვარ-თებერვალში უნდა გამოეშვა 11.120 ათასი მანეთის პროდუქცია. ფაქტობრივად სამუშაომ ამ ორ თვეში საგეგმო დავალებას მილიონი მანეთით გადააჭარბა და სახელმეკონომიკურ ვალდებულებებიც წამატებით შესრულა. აქ ასევე წარმატებით შესრულდა პირველი კვარტალის გეგმებიც.

მუშობაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ა. კორაძემ, ი. ბოლქვაძემ, ვ. ქენქაძემ, გ. ჩაგანავამ და სხვებმა.

კომბინატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულოს.

ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲨᲣᲚᲜᲠᲗᲡ

ᲛᲐᲡᲐᲠᲐᲫᲔ. (საკ. კორ.) სოფელ ბაილეთის კომეურნეობის მეცხოველეები რამდენიმე წელია წარმატებებს აღწევენ. მათ წლევანდელი პირველი კვარტალის დავალება 2 თვეში შესრულეს. 230 ცენტ

მზადდებაა კლენუმი: შენი აზრი, მკითხველო?

ქაღალდთხზველობა საქმის მტერია

მე, როგორც კომუნისტს, საბჭოთა მუშაკს, ბიუროკრატიზმის აღმაშფოთებელ, დასაგმობ გამოვლინებად მიმაჩნია ზედმეტი ქაღალდთხზველობა. ხელმძღვანელობის ამ მანკიერ სტილს და მეთოდს პარტია ყოველთვის უცხადებდა ბრძოლას, რომელსაც უფრო შეტევითი ხასიათი მიეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ. მაგრამ ბევრმა უწყებამ თუ სამინისტრომ მაინც ვერ დაალწია ამას თავი. ზოგჯერ მოითხოვენ ისეთ სტატისტიკურ ანგარიშს, რომელშიც, ჩვენი აზრით, მერეშიგ აღარავინ იხედება. ამას იმით ვასკვნით, რომ შემდეგში აღარავითარი შედეგი და რეაგირება აღარ მოჰყვება ხოლმე. ქაღალდის მდინარე კი მოდის და მოდის.

მივმართავთ კონკრეტულ ფაქტებს: სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიას 1984 წელს აღსასრულებლად დაეწერა ყოველგვარი 364 დოკუმენტი; 1985 წელს — 467, ხოლო 1986 წელს — 488; მიმდინარე წლის სამ თვეშიც, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მისი რიცხვი 15 ერთეულით გაიზარდა. ამას მოგახსენებთ მხოლოდ საგეგმო განყოფილებაზე, რაისაბჭოს აღმასკომში კიდევ რამდენიმე განყოფილებაა!

აი ქაღალდმთხზველობის კიდევ ერთი მაგალითი: 1986 წლის 29 ოქტომბერს რაისაბჭოს აღმასკომში საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტიდან შემოვიდა დოკუმენტი, რომელიც თავის დანართებიანად 47 ფურცელს შეადგენს. ამით გვთხოვენ მეორეული მატერიალური რესურსების რეგიონალური კომპლექსური პროგრამის შემუშავებას.

რაიონისათვის, რომელიც ამზადებს ასობით ტონა შავი და ფერადი ლითონის ჯართს, 100 ტონამდე ქაღალდის მაკულატურასა და ჩვარს, განა საჭიროა მოდენა ქაღალდის ხარჯვა, რეკვიზიტების შევსება?!

კარგი იქნება, თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი კონკრეტულ სტატუას იტყვის ზედმეტი ქაღალდმთხზველობის შეზღუდვისა და აღკვეთისათვის.

ს. შანშაშვილი,
წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

განა ეს სწორია?!

ზოგჯერ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში სამუშაოდ მოდიან უმაღლესი პარტიული სკოლადამთავრებულები. მათ ჯერ კიდევ ამ სკოლის დამთავრებამდე მიიღეს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. ბევრი მათგანი მუშაობდა რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორად, პარტბიუროს მდივნად, სათავეში ედგნენ დიდი საწარმოების პარტიულ კომიტეტს და, მე მგონია, რომ ისინი სხვაზე უკეთ მომზადებული ხელმძღვანელები არიან, აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება და სკოლაში შეძენილი თეორიული ცოდნა.

მერედა, როგორ იყენებენ მათ? ყოველთვის ანდობენ თუ არა ისეთ უბანს, რომლის ხელმძღვანელობის უნარი შესწევთ? ვფიქრობ, რომ არა. პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ ზოგჯერ მათ იმაზე პატარა უბანს ანდობენ, ვიდრე სკოლაში წასვლამდე. სადაა ლოგიკა?! ამჯერად სკოლადამთავრებულებს ნაკლებ ნდობას და მხარდაჭერას უცხადებენ, ასე ვთქვათ, ჩრდილში ჰყავთ. ასეთი მომზადებული მუშაკებისადმი ზოგჯერ რატომღაც ნაკლებია ყურადღება და ნდობა. განა ეს სწორია?!

შ. ლობჟანიძე,
სკკპ წევრი.

ქ. ონი.

ორიენტაცია — ადგილობრივ კადრებზე

ზოგჯერ უპარტიოს, მაგრამ ღირსეულ ადამიანებს ადგილებზე ხელმძღვანელად არ ნიშნავდნენ. ამიტომ იყო, რომ პარტიის რიგებში შესვლას ესწრაფვოდნენ კარიერისტები. ეს გარკვევით ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. კარგია, რომ ამ პრობლემას შეეხო პარტია. ასეთ მდგომარეობა მომავალში არ უნდა განმეორდეს. უპარტიოებს, თუკი ისინი იმსახურებენ, წინ არ უნდა გადავეღობოთ და გაბედულად დავაწინაუროთ ხელმძღვანელ პოსტებზე.

დიდი ხანია მეშახტეთა ქალაქ ტყიბულში ვცხოვრობ. საიდან არ მოჰყავდათ აქ ხელმძღვანელი კადრები! ეს მაშინ, როცა ისეთივე ან უკეთესი კადრი ადგილზეც მოიძებნებოდა. კადრების შერჩევის ასეთი პრაქტიკა, რომ იტყვიან, მოდაში იყო. შორეული ადგილებიდან მოჰყავდათ რაიკომის მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები, მილიციის უფროსები, პროკურორები, კომპეტენციის თავმჯდომარეები, შახტების დირექტორები. ასეთი პრაქტიკა, ჩემი აზრით, არ გამართლდა. მოსულნი ამხანაგი თავს ყოველთვის თვლის დროებით მუშაკად, ამიტომ მუშობაზე გული არ მიუდგა, დროს უცდის, თუ როდის დაანაურებენ, გადაიყვანენ ცენტრში, უფრო მაღალ თანამდებობაზე. ახლა ყველგან არის მცოდნე, მომზადებული ადგილობრივი ადამიანები და მათ შეუძლიათ შეცვლონ მოსული კადრები.

კარგი იქნება, ეს მომავალმა პლენუმმა გაითვალისწინოს.

ა. ქასრაშვილი,
ვეტერანი კომუნისტი.

ᲘᲛ ᲓᲘᲓ გარდაქმნათა ვითარებაში, რომლებსაც დასაბამი მისცა სკკპ XXVII ყრილობამ, ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, დაჩქარების კურსის განხორციელებისათვის აქტიურ პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები. მუშაობის ახლებურად, ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გადაჩქარის საფუძველს წარმოადგენს 1986-1990 წლების და შემდგომი პერიოდის პერსპექტიული გეგმები.

რაიონის ამოცანებიდან გამომდინარე, მთელ თავიანთ საქმიანობას კონკრეტული ცხოვრებისეული მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ აგრეთვე პარტიის ლაგოდეხის რაიკომი, მისი აპარატი, ძირეული პარტიული ორგანიზაციები. მუშაობის მთავარი პრინციპებია პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა, შესრულების შემოწმება. ამ პრინციპების შესაბამისად რაიონის პარტიული ორგანიზაცია თანამიმდევრულად ავითარებს და სრულყოფს მუშაობის სტილსა და მეთოდებს, სისტემურად უკავშირებს მათ რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებს.

როგორია ეს სიახლენი, პრაქტიკული ნაბიჯები?

საკმაოდ განიტვირთა სამუშაო გეგმები ფორმალიზმისაგან, შემცირდა სამეურნეო საკითხთა რაოდენობა, ისინი ძირითადად გადაეცა რაისაბჭოს აღმასკომს, აგროსამრეწველო გაერთიანებას. ამან გარკვეულად აამაღლა მათი როლი და ავტორიტეტი და, რაც მთავარია, გაზარდა პასუხისმგებლობა სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში. ამით პარტიის რაიკომი განთავისუფლდა სამეურნეო ორგანიზაციებისადმი წვრილმანი მეურვეობისაგან. ახლა უფრო მეტი დრო ეთმობა საერთო პარტიულ-პოლიტიკურ, ორგანიზაციულ მუშაობას, სახალხო მეურნეობის ძირითადი, პრობლემური საკითხების გადაწყვეტას, მასებთან მჭიდრო კავშირს. განმტკიცდა ზედამხედველობა, მომთხოვნელობა, კონტროლი ძირეული სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციებისადმი, კომუნისტებისადმი, რომელთაც უშუალოდ სთხოვენ პასუხს საქმის ვითარებისათვის.

ყველგან და ყველაფერში საქმის წარმატებას სწრაფი საკადრო პოლიტიკა განაპირობებს, ვინაიდან, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაშიც აღინიშნა, „გარდაქმნის წარმატებას გადამწყვეტწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად სწრაფად და ღრმად განმსჭვალებიან ჩვენი კადრები რევოლუციური ცვლილებების საჭიროების გაგებით, რამდენად შეუპოვრად, ენერგიულად და კომპეტენტურად იმოქმედებენ ისინი. ამ მიზნებს ემსახურება პარტიის აქტიური, მიზანდასახული, ლენინურ პრინციპებზე დამყარებული, გარდაქმნის ამოცანების შესაბამისი საკადრო პოლიტიკა“.

ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს საკადრო პოლიტიკას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას, მუშაობის ახლებური სტილისა და მეთოდების დახვეწას. პარტიის ლაგოდეხის რაიკომი თანამიმდევრულ, პრინციპულ ღონისძიებებს ახორციელებს პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების თანამედროვე, ახალგაზრდა ხელმძღვანელი კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის. მაგალითად, შარშან წლის დამდეგს შეიცვალა ოკლომეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეები სოფელ ცოდნისკარში, ჭაბუკიანში, არეშფერანში იმის გამო, რომ მათ ფეხი ვერ აუწყვეს თანამედროვე მოთხოვნებს. წლების განმავლობაში არ სრულდებოდა იქ სამეურნეო დავალებები. მათ ადგილას დაანინაურეს ახალგაზრდა, მცოდნე, ენერგიული კადრები. სამივე კოლმეურნეობამ პირნათლად შეასრულა წლიური გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები. შეიქმნა რეალური პირობები მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად.

კადრების აღზრდის, ჩამოყალიბებისა და მომწიფების საქმეში პარტიის რაიკომი ეყრდნობა პოლიტიკური განათლების სისტემას, სკოლას, მის ისეთ გამოცდილ აღმზრდელებს, პროპაგანდისტებს, როგორიც არიან ა. გეწაძე, თ. ქეკანაშვილი, ნ. ლვალიძე, ი. ზარნაძე, ლ. ასტვაცატუროვი, ლ. ბეჟაშვილი, ე. ლეკიშვილი და სხვები.

პარტიული და სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის დახვეწისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სტრუქტურის სრულყოფას, მის დაკომპლექტებას მიზნობრივი კადრებით, გამოცდილი სპეციალისტებით. კომპლექსში გაერთიანდა რაიონის უმნიშვნელოვანესი დარგები და ორგანიზაციები, რამაც უზრუნველყო ეკონომიკურ შესაძლებლობათა თავმოყრა, დარგთა გეგმაზომიერი ინტეგრაცია.

პარტიის თანამედროვე სტრატეგიის, გარდაქმნის, დაჩქარების კურსის შესაბამისად პარტიის რაიკომმა მიზნად დაისახა მეთორმეტე ხუთწლედი გახდეს რაიონში ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი. აქედან გამომდინარე, მთელი საქმიანობა დაუქვემდებარა ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა უთუოდ შესრულების ამოცანას. ნაყოფიერი, მიზანმიმართული მუშაობა წარმოებს შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებისათვის. „ᲬᲨᲘᲠᲐᲓ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიის რაიკომის ბიუროს წევრების, რაიონის წამყვანი სპეციალისტების შეხვედრები საიჯარო ბრიგადების წევრებთან, სადაც იმართება მსჯელობა შრომის დისციპლინის, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, შრომის პროგრესული ანაზღაურების და სხვა პრაქტიკულ საკითხებზე. დეკადფრად, თვიურად, კვარტალურად განიხილება რაიონის კოლმეურნეობების, საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის შედეგები, მუშაობაში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ისახება კონკრეტული ამოცანები.

რაიონში ასევე ხორციელდება ღონისძიებები მცირეწლოვან ბავშვთა დედების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელად, მათთვის შესაბამისი შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით სოფელ შრომის, კაბლის, ლელიანის კოლმეურნეობებში აშენდა ბავშვთა ბაღა-ბაღები.

სათანადო აზსნა-განმარტებითი მუშაობა ეწყობა იმ კოლმეურნეებთან, რომლებიც ნაკლებად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში, საერთო ღონისძიებების შედეგად ბოლო რა წელიწადში ერთიორად შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც არა აქვთ გამომუშავებული შრომის სავალდებული მინიმუმი.

რაიონში განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებები აისახა სამეურნეო მაჩვენებლებში. ამ წარმატებებს რაიონის ხელმძღვანელები, მშრომელები უმაღლესან სახელოვან, ხელოვნიან ადამიანებს: სოციალისტური შრომის გმირს ელენე გორგაძეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს დავით ჭიპაშვილს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მარიამ შარიქაძეს, ელენე კაპანაძეს, ვარდისუბნელ ბრიგადირს გერმანე გრიგალაშვილს და სხვებს. ასეთი ადამიანები, ასეთი კომუნისტები, თუნდაც რამდენიმე რომ გვყავდეს თითეულ სოფელში, გაცილებით უკეთესი წარმატებები გვექნებოდა. ისინი არა მარტო მოწინავე მშრომელები, არამედ აგრეთვე კარგი აღმზრდელებიც არიან.

რაიონის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობამ ფეხი აუწყო ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, დაჩქარების კურსს. საკონსერვო ქარხანაში საკესლოტაციოდ გადაეცა ხილის წვენების ასეპტიკური წარმოების სამკრეხი, რომლის საწარმოო სიმძლავრე 20 მილიონი პირობითი ქილა კონსერვია; მანქანათსაშენებელ ქარხანაში . მიმდინარეობს წარმოების გაფართოების, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამუშაოები, რომელთა შედეგად 1990 წლისათვის გათვალისწინებულია ქარხნის საწარმოო პროდუქციის გაორმაგება; გადამეტებით შესრულდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის შარშანდელი გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, შექმნილია პირობები მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და გადამეტებით შესრულებისათვის.

ძირითადი ტექნიკური პროდუქცია, როგორიც თამბაქოა, შარშან დამზადდა გეგმაზე გაცილებით მეტი — 8800 ტონა, რაც რაიონის ისტორიაში სარეკორდოდ ითვლება.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲙᲝᲛᲙᲐᲢᲔᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐ, ᲜᲓᲝᲑᲐ, ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

თვისებრივად ახალი ეტაპი

შემუშავებულია ღონისძიებები თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის რეკონსტრუქციისათვის.

შარშან რაიონმა აწარმოვა 40 მილიონი მანეთის სამრეწველო-სასაქონლო პროდუქცია; წარმოების ზრდის ტემპმა 110, ანუ ნაკისრ ვალდებულებაზე 3 პროცენტით მეტი შეადგინა; 2,6 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა საგეგმო დისციპლინა. თუ 1985 წელს მოხდა სამრეწველო-სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმის კორექტირება შემცირების მიზნით, შარშან მსგავსი რამ აღარ განმეორებულა.

სოფლის მეურნეობაში ფართოდ დაინერგა მარცვლეულის, თამბაქოს, ზოგიერთი ბოსტნეულის პროგრესული, უხვმოსავლიანი ჯიშები; პროექტდება რაიონში მთის წყლების შეკრებისა და რეგულირების, საკოლმეურნეო სავარგულების გასარწყავების საინჟინრო სამუშაოთა გეგმა.

პარტიის რაიკომის მუშაობის პრაქტიკაში დაინერგა ჩამორჩენილ მეურნეობებში გამსვლელი ბიუროს სხდომების, თათბირ-სემინარების მოწყობა, მათთან გამოცდილი ხელმძღვანელების, სპეციალისტების მიმაგრება. შედეგიც კარგია. თუ 1985 წელს რაიონში 3 ჩამორჩენილი კოლმეურნეობა იყო, დღეს ასეთი აღარ არის. შარშან რაიონის სოფლის მეურნეობაში ზეგეგმითმა მოგებამ 7 მილიონ მანეთს მიაღწია, ხოლო რენტაბელობის დონემ — 33 პროცენტს.

რაიონის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს, აგროსამრეწველო გაერთიანებას პერსპექტივაში მტკიცედ აქვთ დასახული საშრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციის, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების კურსი, რითაც ხელს შეუწყობთ როგორც რაიონის, ისე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის გადიდებას.

გადაწყვეტილი გვაქვს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი შეკასრულოთ მარცვლეულის, ბოსტნეულის, ბალჩეულის, ყურძნის, ეთერეზეთების, აბრეშუმის პარკის, ხორცის, რძის, კვერცხის და პირუტყვის საგეგმო დამზადების ორი წლის საგეგმო.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲙᲝᲛᲙᲐᲢᲔᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐ, ᲜᲓᲝᲑᲐ, ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

Ო. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს კომპარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სართავი ფაბრიკის კოლექტივში კარგად იცნობენ კომკავშირელს ლამარა აფრასიძეს და ნატო ჩუბინიძეს. ისინი ამ რამდენიმე წლის წინათ თითქმის ერთდროულად მოვიდნენ ფაბრიკის სართავ საამქროში: ლამარა — საშუალო სკოლის, ნატო კი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ.

პირველი — მოწინავე მუშა გახდა, მეორე — ჩინებული წარმოების მეთაური. მათი ცვლა ფაბრიკაში მოწინავეა.

მომდინარე წლის პირველ კვარტალში ფაბრიკის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 20 ტონა ნართი გამოუშვა და 22 ათასი მანეთის პროდუქცია გაასაღა, რითაც 100 პროცენტით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი. ამაში ლამარა აფრასიძისა და ნატო ჩუბინიძის მოკრძალებული წვლილიც არის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ლამარა აფრასიძე და ნატო ჩუბინიძე მუშაობის დროს.

Შ. ᲙᲠᲘᲜᲡᲙᲘᲡ ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

კომბინირებულ საკვებს — ჩინებული ხარისხი!

რესპუბლიკაში წლითიწლობით ფართოვდება კომბინირებული საკვების წარმოება. ამასთან მატულობს მასზე მოთხოვნილება, რომელიც ვერა და ვერ კმაყოფილდება ვერც რაოდენობის, ვერც ხარისხის მიხედვით. იმის შესახებ, თუ რა უნდა განხორციელდეს კომბინირებული საკვებით მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მაქსიმალური უზრუნველყოფისათვის, საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის მორიგ სხდომაზე, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახაგრომრეწვისა და პუროპროდუქტების სამინისტროს მუშაობა კომბინირებული საკვების წარმოების გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და გამოყენების ეფექტანობის გაძლიერებისათვის საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

კომბინირებული საკვების წარმოებისა და დამზადების არასაკმარისი ტემპის მიზეზების გამოვლენისას დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ეს ბევრად არის განპირობებული იმით, რომ რესპუბლიკაში სათანადოდ არ გამოიყენება არსებული რესურსები, ნედლეული. საკვების ხარისხზე უარყოფითად მოქმედებს დამზადებული ბალახის ფხვნილის დაბალხარისხანობა, საფუვრისა და შრატის არაკონდიციურობა, რომლებსაც ახმეტის ბიოკომბინატი და ოჩამჩირის ზეთსახადილი ქარხანა გზავნიან, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევები კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოებში. ბოლო წლების მანძილზე არ სრულდება არც ცილებით მდიდარი ისეთი ნედლეულის წარმოების გეგმები, როგორიც არის სოია და მზესუმზირა, ბევრი საკვებგადამამუშავებელი საწარმო არ არის დაკომპლექტებული კვალიფიციური სპეციალისტებით.

ამ და სხვა ნაკლოვანებათა საგულდაგულო ანალიზმა კომისიას საშუალება მისცა შეემუშავებინა პრაქტიკული რეკომენდაციები. შესაბამისი კომუნიკაციები მიეცათ რესპუბლიკის პუროპროდუქტების სამინისტროს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სახაგრომრეწვს, სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებზეც დამოკიდებულია კომბინირებული საკვების წარმოების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება, მათი გამოყენების ეფექტიანობა.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ რ. ვ. მემარნიშვილმა. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ოქტომბრის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გივი სარდიონის ძე **ბაკურაძე** დაჯილდოდა **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.**

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲐᲘᲐᲨᲘ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲕᲐᲡᲐᲓ ᲣᲧᲠᲐᲕᲘ

ᲡᲝᲤᲔᲚ ოტობაიის ყანები და ბოსტნები ოდითგანვე განთქმული იყო სიმინდის, ლობიოს, სხვადასხვა ბოსტნეულ-ბაღჩეულის უხვი და ჩინებული მოსავლით. ამ ათიოდე წლის წინათ ამიტომ გადაწყდა და შეიქმნა კიდეც გალის რაიონში მებოსტნეობის ერთადერთი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა. ამჟამად ოტობაიელთა ბოსტანს 225 ჰექტარი ნოყიერი მიწები უჭირავს. მაგრამ ვერა და ვერ მიიღეს ბოსტნეულის უხვი მოსავალი. აქ წლითიწლობით ვერ სრულდება მოსავლიანობის გეგმები და მეურნეობა ზარალიანია.

რატომ, რა ხდება ოტობაიაში?! ჩვენ ადგილზე გავეცანით საქმის ვითარებას, მეურნეობის ხელმძღვანელებთან და სპეციალისტებთან ერთად ვცადეთ ჩავწვდომოდით იმ მიზეზებს, რომლებიც აფერხებენ მეურნეობის ეკონომიკის განვითარებას. საანალიზო საკონტროლო ეიფრად ავიღეთ 325 ათასი მანეთი. შარშან ბოსტნეულის წარმოების ზარალი სწორედ ამდენი იყო.

როგორ მოხდა, რომ საგეგმო 19,2 ათასი მანეთის მოგების ნაცვლად, მეურნეობამ სარეალიზაციოდ იოლი პროდუქციის წარმოებაში ამდენი ზარალი ნახა?

შარშანდელ სამეურნეო წელს აქ გეგმით უნდა ეწარმოებინათ 2.792 ტონა ბოსტნეული, ფაქტობრივად აწარმოეს 2.652 ტონა. ასევე არ შესრულებულა ასორტიმენტის მიხედვით ბოსტნეულის მოყვანის დავალება. აქ ცდილობდნენ რადაც უნდა დაჯდომოდათ მხოლოდ რაოდენობრივად შეესრულებინათ ბოსტნეულის მოყვანის დავალება და ამიტომ მძიმეწონიანი ბოსტნეულის მოყვანის გეზს დაადგნენ. მოსაგალიანობის გაზრდის ამ იოლმა გზამ ის გამოიწვია, რომ 700 ტონის ნაცვლად 49,5 ტონა ბადრიჯანი მოიწიეს, 180 ტონის ნაცვლად 12,7 ტონა კიტრი. აბა, რა შემოსავალი უნდა მიეღო მეურნეობას ბოსტნეულიდან, როდესაც აქ დამწიფებას არც კი დაუცადეს, 1.246 ტონა მწვანე პამიდორი მოკრიფეს და გაცილებით იაფად ჩაბარეს სახელმწიფოს. რაოდენობრივად გეგმა შესრულდა, ხოლო 390 ტონის ნაცვლად აქ მხოლოდ 8 ტონა მწიფე პამიდორი დამზადდა (?!). განა ცოტა შემოსავალი დაკარგეს მებოსტნეებმა თუნდაც იმის გამო, რომ 120 ტონის ნაცვლად მხოლოდ 3 ტონა მწვანე ლობიო მიჰყიდეს სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, ზარალის მეტს რას ნახავდა მეურნეობა იმისაგან, რომ აქ სრულიად არ უწყვრმეზიათ და არ ჩაუბარებიათ ისეთი ბოსტნეული, როგორიცაა სტაფილო, ჭარხალი, ქინძი, ნიახური და ოხრახუში, ხოლო ხახვი 15 ტონის ნაცვლად 8 ტონა მოიწიეს. სამაგიეროდ ამ კულტურების ჩაბარების დავალება მძიმეწონიანი ბოლოკით გადაფარეს და 227 ტონა ბოლოკი დამზადდეს(?!).

მეურნეობაში ქრონიკულად ვერ სრულდება ჰექტარზე ბოსტნეულის საშუალო მოსავლიანობის გეგმები. შარშან საშუალოდ ნაცვლად საგეგმო 124 ცენტნერისა ჰექტარზე მიღებულია 118 ცენტნერი ბოსტნეული.

ძალზე ძვირად უჯდება სახელმწიფოს ოტობაიელთა პროდუქცია. მეურნეობაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბოსტნეულის თვითღირებულების შემცირებას. მისი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ აქ სამუშაოთა მეტი წილი (80 პროცენტი) ხელით სრულდება. ამის შემდეგ აღარავის უკვირს, რომ მეურნეობაში შარშან ცენტნერი ბოსტნეულის თვითღირებულება 27 მანეთი და 29 კაპიკი იყო, გეგმა კი 21 მანეთსა და 68 კაპიკს თვალისწინებდა. სამწუხაროდ, ძალზე ძვირად უჯდება მეურნეობას ცალკეულ სახეობათა ბოსტნეულის მოყვანა: ერთი ცენტნერი კიტრის თვითღირებულება აქ 423 მანეთი იყო, გეგმით კი 20 მანეთი და 26 კაპიკი უნდა დახარჯულიყო. პამიდორი 20 მანეთისა და 80 კაპიკის ნაცვლად 21 მანეთი და 84 კაპიკი დაუჯდათ. მწვანე ლობიო ნაცვლად 56 მანეთი და 54 კაპიკისა — 195 მანეთი, ბადრიჯანი ნაცვლად 16 მანეთისა და 71 კაპიკის — 83 მანეთი. ამტომაც ამბობენ ხოლმე ასეთი ძვირი ბოსტნეულის ჭამა არც ღირსო.

მეურნეობაში შარშან ვერ შესრულდა ბოსტნეულის რეალიზაციის გეგმა. ნაცვლად საგეგმო 632 ათასი მანეთისა, რეალიზებულია 400 ათასი მანეთის პროდუქცია. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ აქ ჩაშლილია პროდუქციის მიწოდების გრაფიკი, და მოისუსტებს დისციპლინა. ამიტომ იშვიათი რადა, რომ მეურნეობა ვერ ასაღებს პროდუქციას, და მოსავალი რომ არ გაფუჭდეს, იძულებულია თვითონ ეძებოს მისი გასაღების ნებისმიერი საშუალება. ჩვენ ადგილზე ასეთ სურათს წავაწყდით: საბარგო ავტომანქანით 4 ტონაზე მეტი სტანდარტული ბოლოკი მიჰქონდათ მეზობელი მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში. საინტერესოა, ჭამდა კი პირუტყვი ბოლოკს?

მეურნეობას დღეისათვის სარეალიზაციოდ 150 ტონაზე მეტი ბოლოკი აქვს. როგორც იქნა 100 ტონის მყიდველი ქ. მინსკში მოძებნეს და განრიგიც მიიღეს, მაგრამ სპეციალური მანქანების უქონლობის გამო ვერ გზავნიან და ფუჭდება.

მეურნეობაში დღეისათვის შემოსულია ავრეთვე ახალი მწვანილი — 1,5 ტონამდე ქინძი, იხრახუში, ნიახური, მაგრამ მებოსტნეებს მის სარეალიზაციოდ განრიგი ჯერ არ აქვთ მიღებული, პროდუქციის სარეალიზაციო ვადები კი გადის.

გარდა ბოსტნეულისა, მეურნეობას მარცვლეულიც მოჰყავს. კერძოდ, შარშან სამარცვლე სიმინდი 160 ჰექტარზე ეთესათ, საიდანაც უნდა მიეღოთ 432 ტონა, ფაქტობრივად მიიღეს 291 ტონა. საშუალოდ ჰექტარზე საგეგმო 27 ცენტნერის ნაცვლად 18 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს. ცენტნერი მარცვლის თვითღირებულება 9 მანეთით გაუძვირდათ. მეურნეობის ვერც ერთმა ბრიგადამ ვერ შეასრულა სიმინდის მოსავლიანობის დავალება.

მეურნეობაში ასევე დიდი ადგილი უკავია ტექნიკურ კულტურებს. სოია 76 ტონის ნაცვლად შარშან მხოლოდ 4 ტონა აწარმოეს. ცენტნერი სოიის თვითღირებულება 37 მანეთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უგერგილობის გამო 125 მანეთი დაუჯდათ.

მეურნეობაში 180 ჰექტარზე აქვთ გაშენებული თხილი, შარშან 35 ტონის ნაცვლად 23 ტონა მოსავალი მიიღეს. თვითღირებულება 16 მანეთით მეტი იყო საგეგმოზე.

შარშან მეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტების დავალება როგორც იქნა შესრულდა. მაგრამ ცენტნერი რძის თვითღირებულება ორჯერ მეტი, — 95 მანეთი იყო.

ასეთ პირობებში, ცხადია, მუშების ხელფასსა და წარმოებულ პროდუქციას შორის დიდი განსხვავებაა. მუშამ საშუალოდ წელიწადში 1.175 მანეთი მიიღო, მაგრამ თითოეულმა მხოლოდ 679 მანეთის პროდუქცია აწარმოვა. ე. ი. მეურნეობაში მუშამ თითქმის ორჯერ იმაზე მეტი ხელფასი მიიღო, რაც აწარმოვა.

ვერ ვიტყვით, თითქოს მეურნეობის ხელმძღვანელობა — ახლად დანიშნული დირექტორი გ. შონია, მთავარი აგრონომი შ. ფიტელავა და პარტკომის მდივანი ა. გეჯუა არაფერს ღონობდნენ მეურნეობაში მდგომარეობის გამოსასწორებლად. დაჩქარებისა და გარდაქმნის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად აქ მთელი რიგი ღონისძიებებია დასახული, მაგრამ განხორციელდება?

დღეისათვის ამ ჩამორჩენილ მეურნეობას სათანადო დახმარებაც სჭირდება. აფხაზეთის ასსრ და გალის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ოტობაიელებმა თავიანთი პრობლემები მოკლე დროში გადაწყვიტონ. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ბოსტნეულის გადამამუშავებელი საკვის მშენებლობას, 4-ჰექტარიანი სათბურების დამონტაჟებას, 100 სული ფფერისათვის მეცხოველეობის ტიპობრივი ფერმის აშენებას, სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ამ საკითხების მოწესრიგება და სხვა ღონისძიებების განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს ამ ზარალიანი მეურნეობის მდგომარეობის გაუმ

გარდაქმნის ეთიკური კვანძი

გაკვეთილად...

„ჩემთვის პირველ სართულზე ბინის გამოყოფა მიმაჩნია დამცირებად და შეურაცხყოფელად. ექვს სულზე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მე ვარ მეცნიერების კანდიდატი, დოცენტი, რაც დამატებითი ფართის უფლებას მანიჭებს, ოთხი ოთახი არც არის საკმარისი, მით უმეტეს, თუ მას პირველ სართულზე მივიღებ". ლარაკია ქალაქის ცენტრში ახალ, კეთილმოწყობილ ოთხთვალიან ბინაზე, რომელიც საბინაო კომისიის სახელზე დაწერილი ამ განცხადებით დაიწუნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ი. აბესაძემ. პირველ სართულზე რომ მომეცით, ამით დამამცირეთ და შეურაცხყოფეთ. პირველი სართული მას მიეცით, ის დაამცირეთ და შეურაცხყოფეთ, ვინც კანდიდატი არ არის, დოცენტი არ არის, მე კი ზედა სართული და ამასთან ფართობიც მეტი მეკუთვნისო. ესეიგი, რაო? თითო სულზე თითო ოთახი? იქნება ასეთი დროც დადგეს. მაგრამ ახლა? დღესდღეობით ხომ ბინები ჭირს მთელ ქვეყანაში. თანაც ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხომ უსერსულია, ცოლ-ქმარმა ცალ-ცალკე ოთახებში იცხოვრონ?!

ცნობილი გამომგონებლის, მეცნიერ-მეენიერის გ. მანჯაგაძის ექვსშვილიანმა ოჯახმა (რვა სულმა) დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გამონაცვალი ბინა მიიღო, დაახლოებით ისეთივე ფართობი, როგორც ი. აბესაძეს შესთავაზეს, და მთავრობას მადლობა შეუთვალა.

გუშინწინ რედაქციაში მივიღეთ უკვე მსოფლიოში აღიარებული ფიზიოლოგის, პროფესორ გ. მკედლიშვილის ფუნდამენტური ნაშრომი ინგლისურ ენაზე, რომელიც ნიუ-იორკ-ლონდონის ერთ-ერთმა განთქმულმა გამომცემლობამ დაბეჭდა. გაგვახსენდა: როცა ინტერვიუ ჩამოვართვით მისი აღმოჩენის შემდეგ, გაგვაკვირვა მისი ბინისა და ცხოვრების წესის სისადავემ. პავლე ინგოროყვამ ბინა მას შემდეგ მიიღო, რაც ავადმყოფი მოინახულეს და ნახეს, რომ სიძე-ქალიშვილთან ერთად სივიწროვეში ქმნიდა თავის მრავალტომეულებს.

როგორც ხედავთ, სამივე მკვლევარის მეცნიერული ტიტულატურა შორს გასცდა დოცენტ აბესაძისას, მაგრამ სამივეს (მადლობა ღმერთს, ისევე, როგორც სხვას მრავალს) თავშდაბალ, უპრეტენზიო მოღვაწეებად იცნობენ რეს-პუბლიკაში. ი. აბესაძეს, რომლის გვარი და საქმე მხოლოდ სალექციო აუდიტორიაში ტრიალებს, რაღა დაეშავთა? ისე რამ გააყოყონა, რომ ამხანაგებსა და კოლეგებს სართულებად ანაწილებს, არ სჯერდება იმას, რაც სხვებისთვის, უმრავლესობისთვის გასახარია? დიაგნოზი უტყუარია: ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის ის სენი შეპყრია, რომელსაც ვ. ი. ლენინმა (ჯერ კიდევ როდის?!) „კომყოყოჩობა" უწოდა. სამწინელი სენია, უვირუსო, მაგრამ გავრცელებული. ავადმყოფს ჰკონია, რომ მის ვალში არიან დედამინა თავის ბინადრებითურთ, დედაბუნება და ბიოსფერო, ხოლო მისი ცხოვრებისეული დანიშნულებაა მხოლოდ მოიხმაროს ყველა და ყველაფერი, ჰგონია, რომ იმადება ხელმძღვანელად.

ამიტომ სულის მოუთქმელად ხურს აირბინოს იერარქიული კიბე, ყველამ — ნაცნობმა და უცნობმა ხელი უნდა მოუმართოს კარიერისტულ მისწრაფებებში. ი. აბესაძის მაგალითზე ეს ასე გამოიყურება: ერთ — 1973-74 სასწავლო წელს დაიკავოს უნივერსიტეტის ჯერ უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ უფროსი მასწავლებლის და მამინვე უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანსიები. ამავე დროს, თუ სხვას ორი შეთავსება აქვს, ამას ოთხი უნდა ჰქონდეს (1977-78 წლები). დაავადების სიმპტომებია: სხვისი უფლებებისა და ინტერესების არაფრად ნაგდება, საკუთარის — დაკანონება, სირცხვილის გრძნობის სრული ატროფია, სამაგიეროდ — ეგოცენტრისტული ლოგიკის (ივულისხმება ულოგიკობის) სრული გაფურჩქვნა.

ასეთი ხელმძღვანელისთვის კაბინეტი სამუშაო ოთახი კი არა, თანამდებობის პრესტიჟული დანამატია, პერსონალური სახელმწიფო მანქანა — საოჯახო იჯარის მსგავსად ოჯახის წევრების, მათ შორის, ყმაწვილების კოოპერაციული მომსახურების საშუალებაა, აგარაკი, დაუცხრომელ შრომაში დახარჯული ენერგიის აღსადგენად სახელმწიფოს მიერ დროებით ბოძებული — გართობისა და ღრეობის ადგილი.

სხვათა შორის, საზოგადოებრიობამ უნდა იცოდეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით რამდენიმე მაღალი რანგის ხელმძღვანელს უკვე ჩამოერთვა წყნეთის აგარაკები, რომელთა ერთი ნაწილი პანსიონატებად გადაიქცა, მეორეში — საბავშვო დაწესებულებები განაწილდნენ.

შუა აპრილში განსვენებულთა ხსოვნის დღეა. როდესაც „გარდაქმნის ეთიკურ ასპექტს ეხები, გინდა გაიხსენო იმ ადამიანთა ღირსებით შემკული სახელები და თავდადებით აღნიშნული საქმეები, რომლებიც ისე წავიდნენ ამ ცხოვრებიდან, რომ პირადი კეთილდღეობის მცირეოდენი ატრიბუტებიც კი ვერ შეიძინეს.

ლევან იელიანეს ძე ანჯაფარიძეს სულ წიგნებს წერდა, „ოღონდ სხვისთვის სახელმძღვანელო წიგნებს — სტუდენტებისათვისაც, ექიმებისთვისაც, საკუთარი სადოქტორო დისერტაციისათვის კი ვეღარ მოიცალა, და როცა მიხვდნენ მისთვის დოქტორის ხარისხი „ჰონორის კაუზათი" მიენიჭებინათ, ცოცხალი აღარ იყო... ეს ნამდვილი თავდადებაა. მაგრამ ამავე დროს უდიდესი თავმდაბლობაც არის. დიდ საქმეს გულს ვერ დაუდებ, თუ თავმდაბალი არა ხარ, თუ პატივმოყვარეობის ჭია გღრღნის, თავზე [illegible] მოდგენა გაქვს და კარიერ[illegible]

ლირიკულ გადახვევად ნუ ჩაგვეთვლება — გარდაქმნის ეთიკური გაკვეთილებია.

ეს გაკვეთილი ხომ ი. აბესაძით დავიწყეთ; მისითვე დავამთავროთ.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ი. აბესაძე განთავისუფლდეს თანამდებობიდან იმისათვის, რომ პირადი საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებისას თავმდაბლობა არ გამოიჩინა.

დაგვეთანხმებით, ადვილად ვერ გაიხსენებთ ასეთ დადგენილებას.

სწორია, სამართლიანია, იქნებ ოდნავ უწვეულო, მაგრამ, ჩანს, მალე ჩვეული გახდება...

გ. გიორგაძე.

გზა გადავუკეტოთ უშრომელ შემოსავალს

საწარმოთა მოქმედებას — იურიდიული უფლებები

სოციალისტური სამართლიანობის დამკვიდრების უპირველესი პირობაა განუხრელად განვახორციელოთ ჩვენი საზოგადოების მთავარი პრინციპი — „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით". ამ პრინციპს, როგორც ვხედავთ, აქვს ორი ნაწილი, მაშასადამე, საჭიროა ორივეს დაცვა. სამწუხაროდ, პრაქტიკაში მის მხოლოდ მეორე ნაწილს — „თითოეულს — შრომის მიხედვით" — ექცევა ყურადღება. პირველი კი — „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით" რატომღაც ჩრდილში რჩება, ესე იგი, სოციალისტური სამართლიანობა სანახევროდ ხორცელდება.

ბიბადება კითხვა — რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ საზოგადოების ყველა წევრი თავისი უნარის შესაბამისად შრომობდეს?

ჩვენი აზრით, ამისათვის საჭიროა შემდეგი პირობები:

პირველი ის, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონეებს თავიანთი უნარის განვითარებისათვის. ცხოვრების თანაწორი თუ არა, საკმაოდ მიახლოებული საწყისი პირობები მაინც უნდა ჰქონდეთ. ეს მოითხოვს სხვადასხვა რესპუბლიკის, ქალაქის, რაიონისა და სოფლის საბავშვო ბაღებითა და ბაღებით, სპორტული მოედნებითა და დარბაზებით დაახლოებით თანასწორ უზრუნველყოფას, სკოლებში აღზრდისა და სწავლების დაახლოებით თანაბარ დონეს, ასევე ნებისმიერი სპეციალობის მიხედვით სწავლის გაგრძელების თანაბარ შანსს.

სამწუხაროდ, საწარმოო ძალების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონე ამ პირობების სრული რეალიზაციისთვის ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. მაგალითად, საქართველოში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები იქნას წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რიცხვის 27,2 პროცენტს მოიცავს, ხოლო ქვეყანაში ეს ციფრი 43 პროცენტს შეადგენს. სკოლასთან არსებული ინტერნატები, გახანგრძლივებული დღის ჯგუფები და სკოლები რესპუბლიკაში სულ 14,9 პროცენტს მოიცავს, ქვეყანაში მთლიანად 32,2 პროცენტს და ა. შ.

მეორე საკითხია მშრომელებში სოციალისტური საკუთრებისადმი ბატონ-პატრონის გრძნობის გაღვივება-განვითარება. „უმისოდ ადამიანის ფაქტორის ქმედითობაზე საპარაკი ზედმეტია," — აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. მაშასადამე, საჭიროა ისე გარდაიქმნას სამეურნეო მექანიზმი და ეკონომიკური პირობები, რომ ხელი შეუწყოს ადამიანებში კერძო მესაკუთრული „ჩემის" საზოგადო „ჩვენად" გადაქცევას. შევნიშნავთ, რომ ეს არის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. მისი გაუბრალოებული გაგება არ შეიძლება.

მესამე საკითხია არჩეული პროფესიის სიყვარული. საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ბრძოლაში ადამიანი ეფუძნება ... [illegible] ... ალური შრომითი საქმიანობის ფარითოდ გაშლა. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ ხშირად ანაზღაურების არსებული სისტემა ხელს უშლის მშრომელთა შესაძლებლობების სრულ რეალიზაციას.

ვფიქრობთ, ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაცვა ხელს შეუწყობს ადამიანების დასაქმებას თავიანთი ფიზიკური, პროფესიული და სოციალური შესაძლებლობების შესაბამისად და, მაშასადამე, სოციალისტური სამართლიანობის დამკვიდრებას. თუმცაღა, სოციალისტური სამართლიანობის სრული რეალიზაციისათვის და ადამიანის ფაქტორის მაქსიმალური ამოქმედებისათვის ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

როგორ დგას საკითხი სოციალიზმის მთავარი პრინციპის მეორე ნაწილის — „თითოეულს — შრომის მიხედვით" რეალიზაციასთან დაკავშირებით. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე ითქვა, ჩვენ ამ პრინციპს ხშირად ვერ ვიცავთ, რის გამოც ვაწყდებით ისეთ არასასურველ მოვლენებს, როგორიც არის გათანაბრება განაწილებაში, უშრომელი შემოსავალი და ა. შ. რაც, სამოლო ანგარიშში, უარყოფითად მოქმედებს წარმოების ზრდაზე.

უშრომელი შემოსავალი ზოგადად იმას გულისხმობს, რომ საზოგადოების გარკვეული ჯგუფი იმაზე მეტს ღებულობს, ვიდრე მას გაწეული შრომის როდენობისა და ხარისხის მიხედვით ეკუთვნის; გარკვეული ჯგუფი კი — იმაზე ნაკლებს, ვიდრე მან გამომუშავა. ეს იმიტომ, რომ, როგორც შრომითი, ისე უშრომელი შემოსავლის წყარო ერთია — წარმებული ეროვნული შემოსავალი.

ბუნებრივია, იმისათვის, რომ მიზანდასახული და ეფექტიანი იყოს ამ ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლა, საჭიროა ვიცოდეთ მისი წარმომშობი მიზეზები. ესენია:

— სამუშაო ძალის დეფიციტი, რომელიც უწინარეს ყოვლისა სამამულო ომის „მეორე გამოძახილით" არის განპირობებული. მოგეხსენებათ, 80-იან წლებში საპენსიო ასაკი უსრულდება თაობას, რომელიც არ მონაწილეობდა სამამულო ომში, ხოლო შრომისუნარიანი ასაკი უდგებათ სამამულო ომის პერიოდში დაბადებულთა შვილებს. ეს იწვევს სამუშაო ადგილებისა და შრომითი რესურსების შეუწონასწორებლობას, რაც საწარმოებს შორის წარმოშობს ერთგვარ „კონკურენციას" თავისუფალ სამუშაო ადგილებზე მშრომელთა მიზიდვასთან დაკავშირებით. ამ „კონკურენციაში" გამარჯვებისათვის საწარმოს ხელმძღვანელები იყენებენ ხელფასს, რომელიც ხშირად არ შეესაბამება მუშაკთა შრომის შედეგებს. ამიტომაც არის, რომ მუშაკიც იმ საწარმოში მიდის, სადაც — მეტ ხელფასს გადაუხდიან.

არცთუ იშვიათად, ხელფასით ცდილობენ არადამაკმაყოფილებელი შრომის პირობების, ნაკლებმიზიდველი, ხელის, ფიზიკური შრომის კომპენსირებასაც. იმისათვის, რომ მუშაკი შეინარჩუნონ ასეთ სამუშაო ადგილზე, დაუსაბუთებლად დიდ ხელფასს აძლევენ. გამოდის, რომ ხშირად ცალკეული მშრომელი იღებს იმდენ ხელფასსა და პრემიას, ბევრად რომ აღემატება მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობას და ხარისხს. ეს არღვევს მნიშვნელოვან კანონზომიერებას — ხელფასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდის უპირატეს ტემპს, რაც, ერთი მხრივ, გაუმართლებლად აგროვებს მშრომელებში ფულად სახსრებს, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოქმნის ამა თუ იმ საქონლის დეფიციტს ბაზარზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რესპუბლიკის მრეწველობაში ხელით შრომობს 35 პროცენტზე მეტი, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ. ხელფასის დაუსაბუთებელ ზრდას, ანუ უშრომელი შემოსავლის წარმოქმნას ხელს უწყობს დაუსახურებლად გაზრდილი თანრიგი და დაწესებული დანამატი, შემცირებული გამომუშავების ნორმები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში დაბალია გამომუშავების ნორმების დაძაბულობის კოეფიციენტი.

უშრომელი შემოსავლის წარმოქმნის ერთ-ერთი პირობაა შრომის დისციპლინის დარღვევის, სამუშაოს გაცდენის, სამუშაო დროის დანაკარგების დაფარვა. გასულ წელს რესპუბლიკის მრეწველობაში ყოველდღე საწარმოო უბნებზე საშუალოდ არ ცხადდებოდა 425 მუშა, მაგრამ ყველას მიმართ როდი იყენებდნენ სათანადო ზომებს: ხელფასის შემცირებას, შვებულების დღეების შემცირებას, მცირეხელფასიან სამუშაოზე გადაყვანას და ა. შ.

დასასრულ, ცნობილია, რომ ჩვენში მოსახლეობა მატერიალური და სულიერი საკეთის გარკვეულ ნაწილს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ღებულობს. იბადება კითხვა — შეიძლება თუ არა, რომ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული შემოსავალი უშრომლად მოგვეღლინოს?

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული შემოსავალი უშუალოდ არის დაკავშირებული მუშაკთა შრომის შედეგებთან, მაინც შეიძლება მოგვევლინოს უშრომელი შემოსავლის წყაროდ. მაგალითად, თუ ადამიანს თავისი ჯანმთელობის მდგომარეობის გამო შეუძლია იმუშაოს, მაგრამ საერთოდ არ იწუხებს თავს, ან შრომობს ძალთა დაზოგვით, მაგრამ, ამავე დროს სარგებლობს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ყველა იმ სიკეთით, რომლითაც მოწონავე მუშაკები, მაშინ გარკვეული გაგებით, ცხადია, საქმე გვაქვს უშრომელ შემოსავალთან.

ამგვარად, იმისათვის, რომ დავამკვიდროთ სოციალისტური სამართლიანობა და ამ გზით ხელი შეეუწყოთ ქვეყნის განვითარების დაჩქარებას, საჭიროა მოქმედი სამეურნეო მექანიზმი და შრომელთა სოციალური აქტიურობა სწორედ უშრომელი შემოსავლების წარმომშობი მიზეზების წინააღმდეგ წარვმართოთ.

ვ. სამადაშვილი,
რ. ხარგედია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატები.

მეშახტის ხელში მომცარო კოლოფი მთის გამონამუშევრების ჭერსა და კედლებზე დაკაკუნებისას უტყუარად იჭერს დამახასიათებელ ბგერას, რომელიც მიანიშნებს ქანში საშიშ ბზარებსა და სიცარიელეებს. ხელსაწყო ერთბაშად რეაგირებს შუქ და ბგერა სიგნალებით და იუწყება ჩამონანგრევის შესაძლო საშიშროებას.

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმში" დანერგილი სიგნალიზაციის მოწყობილობა უსაფრთხოს ხდის შეშახტეთა მუშაობას.

საკავშირო პროფსაბჭოს თბილისის შრომის დაცვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა ნამუშევრის დამზადების სიმარტივე და ექსპლოატაციის დროს საიმედოობა ღირსეულად დააფასეს სპეციალისტებმა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა მას ვერცხლის მედალი მიანიჭა.

— ქვეყნის მთავარი გამოფენის მედლები მიიღო მეცნიერთა კიდევ სამმა ნამუშევარმა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ინსტიტუტის დირექტორმა ი. ციხაკაძემ. — ეს არის სიგნალიზაციის მოწყობილობა, რომელიც უბრუნველყოფს ელექტრობაზე მომუშავე სპეციალისტთა უსაფრთხოებას, აგრეთვე ელექტროსტატიკური მუხტების ნეიტრალიზატორი. ეს უკანასკნელი დანადგარებს იცავს ელექტრული მუხტებისაგან, რომლებიც წარმოიშობა პოლიმერული აფსკების ზედაპირზე მილსადენების იზოლაციის დროს და თავიდან გვაცილებს ხანძრის გაჩენას. მიმდინარე წლიდან იგი შეტანილია საიზოლაციო-საფენდი მანქანების კონსტრუქციაში, რომლებსაც ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხანა უშვებს.

ჯილდოთი აღინიშნა საწარმოო გარემოს კონტროლის ლაბორატორიაში შემუშავებული ტენმზომიც. ეს კომპაქტური ხელსაწყო იმ საფუძველზეა აგებული, რომ პოლიმერულ აფსკს აქვს თვისება — საკმარისია შენობაში ოდნავ შეიცვალოს ტენიანობა, და იგი ფორმას იცვლის. არსებულ ტენმზომებთან შედარებით იგი უფრო ეკონომიურია დამზადების დროს და უფრო ხანგამძლე. (საქინფორმი).

---

8 აპრილი ● საკდესი იუწყება

უკასოეთი

ფაქტები • მოვლენები

უკეთესი მსოფლიოსაკენ

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებისა და გამოსვლების კრებული

ვაშინგტონი. ამერიკის „რიჰარდსონ ენდ სტეერმენის" გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებისა და გამოსვლების კრებული. გამომცემლობის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა: როცა მესამედ გამოსცა საბჭოთა ხელმძღვანელის წიგნი, გამომცემლობა იმ მისწრაფებით ხელმძღვანელობდა, რომ ამერიკელებს, რომლებიც იჩენენ დიდ ინტერესს საბჭოთა კავშირისადმი, კერძოდ, მის ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენებისადმი, როგორიცაა გარდაქმნა, საჯაროობა, ჰქონოდათ ფართო შესაძლებლობა გასცნობოდნენ სსრ კავშირის პოლიტიკას.

კრებულში, რომელიც დასათაურებულია „უკეთესი მსოფლიოსაკენ", კერძოდ, შეტანილია მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 12 ოქტომბრის პრესკონფერენცია რეიკიავიკში, მისი გამოსვლები საბჭოთა ტელევიზიით 14 და 22 ოქტომბერს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობისადმი, გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით 1986 წლის 29 მარტს იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებულმა შტატებმა განაგრძო ბირთვული აფეთქებანი ყველა ბირთვული აფეთქების საბჭოთა მორატორიუმის მიუხედავად, 1986 წლის 8 აპრილს ტოლიატში ავტომობილმშენებელთა წინაშე წარმოთქმული სიტყვა, 1987 წლის 1 იანვრის პრესაში გამოქვეყნებული პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის ჯ. კინგსბერი-სმიტის კითხვებზე.

კრებულისათვის სპეციალურად დაწერილ წინასიტყვაობაში მ. ს. გორბაჩოვი დეტალურად აანალიზებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას, საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს. „ახალი აზროვნების ჩამოყალიბება, — წერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, — ჩემი აზრით, მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებაში გარდატეხის არსია. ყველა ფადატრიალება იწყებოდა და იწყება გონებაში. არა ახალი ტექნიკური აზროვნება, რომელიც ხორცს ისხამს იარაღის უფრო ზუსტი და შეუბრალებელი სისტემებით, არამედ გონების გასთავისუფლება პოლიტიკური და სოციალური, ეროვნული და რასობრივი ცრურწმენისაგან — მედიდურობისა და თავდაჯერებულობის, ძალის კულტისა და ძალმომრეობისაგან — ცივილიზაციის, თვით სიცოცხლის ხსნის გზაა. ჩვენ, ჩვენს ქვეყანაში, გარდაქმნასთან ერთად ვიცვლით პოლიტიკურ აზროვნებას, ვაახლებთ მას რაკეტულ-ბირთვული, კოსმოსური, კომპიუტერული საუკუნის რეალებით. ამასვე ველით სხვებისაგან, თქვენგან — ამერიკელებისაგან.

ვაცხადებ — არავითარი ბოროტი და საიდუმლო განზრახვა არ გვიდევს გულში თქვენი ქვეყნის მიმართ, არავითარი მტრობა არა გვაქვს ამერიკელი ხალხისადმი.

● არგენტინა

რომის პაპის ვიზიტი

ბუენოს-აირესი. ამთავრებს რა მოგზაურობას სამხრეთ ამერიკის თეთრ რიგ ქვეყნებში, აქ ჩამოვიდა პაპი იოანე პავლე II. არგენტინაში იგი მომავალ კვირამდე დაჰყოფს და ეწვევა ათ ქალაქს. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაური შეხვდება აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, პროფკავშირების, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

დედაქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ განხორციელდა უშიშროების საგანგებო ღონისძიებანი ბუენოს-აირესში. რომის პაპის ჩამოსვლის წინ. ამამოქმედეს, კერძოდ, რამდენიმე ათეული პოლიციელი და განსაკუთრებული დანიშნულების რაზმების აგენტები, გადაკეტილია მოძრაობა ზოგიერთ პროსპექტზე და ქუჩაში.

ამ ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე არგენტინის დედაქალაქის ცენტრში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია პაპის ვიზიტის წინააღმდეგ, რომელიც დამთავრდა პოლიციისა და გამოსვლების მონაწილეთა გაფფრენებული შეტაკებით. ამ გამოსვლების პოლიტიკური ხასიათი ჯერჯერობით გაურკვეველია. ორშაბათს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ დაანატომრეს არალეგალური ულტრამემარჯვენე ჯგუფი, რომელიც აპირებდა მოეწყო პროვოკაციათა სერია ვატიკანის მეთაურის ვიზიტის დღეებში. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ წინა კვირაში არგენტინის ზოგიერთ ქალაქებში ააფეთქეს ბომბები ეკლესიების შესასვლელებთან. მაგრამ მაინც, გაზეთების აზრით, პაპის იოანე პავლე II ლათინური ამერიკის ქვეყნებში ახლანდელი მოგზაურობის ყველაზე ძნელი ეტაპი გავლილია, როცა მან ჩილეს საზღვარი გადაკვეთა. არგენტინის გაზეთები კვლავ განმარტავენ გაფფრენებულ ინციდენტებს სანტიაგოსა და ჩილეს სხვა ქალაქებში, რომელთა მოწმე გახდა კათოლიკური ეკლესიის მაღალი თანამდებობის მოღვაწე. ჩილელმა ხალხმა კვლავ ცხადყო თავისი სიძულვილი სამხედროფაშისტური დიქტატურისადმი.

◆ საფრანგეთი

მხარი დაუჭირეს კომუნისტებს

პარიზი. საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენლთა წარმატება კანტონების ნაწილობრივ არჩევნებში იმას მოწმობს, რომ გაიზარდა კომუნისტთა ავტორიტეტი და გავლენა.

ეს აქ განაცხადა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშეს. მან გაზეთ „ლუმანიტეში" გამოაქვეყნა სტატია. ამომრჩევლებმა მხარი დაუჭირეს კომუნისტებს, რითაც მოწონეს მათი საქმიანობის ეფექტიანობა, მშრომელთა ინტერესებისა და სოციალურ მონაპოვართა დაცვისადმი მტკიცე ბრძოლა, აღნიშნა საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელმა.

უშიშროების სამსახურში

მოითხოვენ სანქციებს

ნიუ-იორკი. არგენტინამ, განამ, ზამბიამ, კონგომ და არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმა უშიშროების საბჭოს მოუწოდეს შემოიღონ ყოვლისმომცველი საკანონმდებლო სანქციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად და იხელმძღვანელონ პასუხისმგებლობით საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

ეს არის მთავარი მოთხოვნა, რომელსაც შეიცავს რეზოლუციის პროექტი. იგი სამშაბათს წარუდგინეს უშიშროების საბჭოს, რომელიც განაგრძობს ნამიბიაში შექმნილი ვითარების განხილვას. დოკუმენტში დადასტურებულია, რომ ნამიბიელ ხალხს აქვს თვითგამორკვევის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ხელშეუხებელი უფლება და ამ მიზნების მიღწევისათვის მისი ბრძოლა კანონიერია. პრეტორიის რეჟიმის მიერ ნამიბიის უკანონო ოკუპაცია, მისი ხალხის წინააღმდეგ რეპრესიების, გაძლიერება, სამხრეთ აფრიკის დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოებზე მისი ტერიტორიიდან მრავალგზის შეიარაღებული თავდასხმები ყალიფიცირებულია როგორც აგრესიე სერიოზული აქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

● აშშ

ქოფილი პილოტის აღიარება

ვაშინგტონი. ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის ამერიკული იარაღისა და საბრძოლო მასალების მიწოდებათა დაფინანსება ნაწილობრივ ხდება ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობის შემოსავლიდან.

ეს აღიარა ყოფილმა პილოტმა მაიკლ ტოლივერმა, რომელიც მონაწილეობდა ნიკარაგუელი კონტრრევოლუციონერებისათვის შეიარაღების მიწოდების ოპერაციებში. ამჟამად იგი პატიმრობას იხდის ფლორიდაში ნარკოტიკების უკანონო ოპერაციებისათვის. ფიცით მიცემულ ჩვენებებში, იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, ტოლივერმა აღიარა, რომ იგი მრავალგზის მონაწილეობდა იარაღის გადაზიდვაში, კერძოდ, მან ორჯერ მიიტანა იგი ჰონდურასის კონტრრევოლუციონერთა ბაზებამდე. ბოლოს, 1986 წლის 12 ოქტომბერს, ავიაკატასტროფა, რომელიც ... [illegible] ... ბაზაში.

● ესპანეთი

ასობით დემონსტრანტი შეიკრიბა მადრიდის სასამართლოს შენობასთან, სადაც მიმდინარეობს პროცესი „ტოქსიკური სინდრომის საქმის" გამო. როცა სასამართლოში გაძლიერებული დაცვის თანხლებით ბრალდებულნი მოჰყავდათ, დემონსტრანტებს გაიძახოდნენ: „მკვლელები, მკვლელები" და მოითხოვდნენ 38 კაცის სიკვდილით დასჯას, რომელთა შორის არიან ზეითუნის ზეთის მწარმოებელი საწარმოების რამდენიმე მფლობელი, აგრეთვე მათთვის მომუშავე ქიმიკოსები. მათ ბრალად ედებათ ესპანეთის ისტორიაში უდიდესი მოწამლა, რომლის შედეგად 500 კაცი დაიღუპა და 25 ათასი დაზავდა. მედიკოსებმა დიდი ხნის განმავლობაში ვერ დაადგინეს უცნაური დაავადების მიზეზი, რომელიც ესპანეთს თავს დაატყდა 1981 წლის გაზაფხულზე. ხანგრძლივმა გამოძიებამ დაადგინა, რომ მომაკვდინებელ შხამს შეიცავდა ზეითუნის ზეთი, რომელშიც ზოგიერთი საწარმოს პატრონები მოგების გულისათვის ურევდნენ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მავნე ქიმიურ ნივთიერებებს.

სურათზე: დემონსტრაციის მონაწილენი სასამართლოს შენობასთან.

ეპა-საკდესის ფოტო.

ფოტოფაქტი

„იქს ობიექტის" ძებნა გრძელდება

ტოკიო. იაპონიის ჰონსიუს კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხადღაც ტყით დაბურულ მთებში უკვე მეექვსე დღეა დევს ეგრეთ წოდებული „იქს ობიექტი", **რომელიც მზად არის ყოველ წუთს აფეთქდეს.** ამ ტერმინით ოფიციალურ პატაკებში მოხსენიებულია 3,6 მეტრზე მეტი სიგრძის რაკეტა „სპეროუ", რომელიც 3 აპრილს „დაკარგა" ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის ივაკუნის ბაზიდან აფრენილმა ფ-4 ავიაგამანადგურებელმა ბომბდამშენმა. ვერტმფრინავთა მხარდაჭერით იაპონელ პოლიციელთა და ამერიკელ „ექსპერტთა" რაზმები ეძებენ ... [illegible] ... ბაზაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავმა დაკარგა საბრძოლო რაკეტა

▲▲

ლის მაბლოკირებელი მოწყობილობანი.

დაბა ოასის ხელისუფლებმა ბავშვებს აუკრძალეს დასახლებული პუნქტის ფარგლებს გარეთ გასვლა, მოსახლეობას ნაბრძანები აქვს დაიცვას სიფრთხილის ზომები ... [illegible] ... ბაზაზე.

ტოკიო. იაპონიის ჰონსიუს კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ... [illegible] ... ბაზაზე.

● საფრანგეთი

ჩაეფვნენ მყვინთავები

ბრიუსელი. მას შემდეგ, რაც გასსწორეს დფერდებული ინგლისური საზღვარ ბორანი „ჰენრალდ ოფ ფრი ენტერპრაიზი", რომელიც ... [illegible] ... ბაზაზე.

ტოკიო. იაპონიის ჰონსიუს კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ... [illegible] ... ბაზაზე.

უცხოური ხელოვნება

პრეპარატი გამელოტების წინააღმდეგ?

ჰააგა. ათასობით ჰოლანდიელი, რომლებსაც გამელოტება ელით, როტერდამის ერთ-ერთ კლინიკას მიაწყდა, სადაც თმის აღდგენის ახალი მეთოდი შეიმუშავეს. თუმცა, როგორც აღმინისტრაციამ გამოაცხადა, მხოლოდ 200 „იღბლიანს" დაუშვებენ საცდელი მკურნალობისათვის.

კლინიკის ექიმები გაოცდნენ, როცა გაიგეს, რომ 18-დან 49 წლამდე ასაკის 8 ათასზე მეტმა კაცმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო სამედიცინო ექსპერიმენტში როგორც საცდელ ბოცვრებს. საქმე ის გახლავთ, რომ როტერდამის კლინიკაში შემუშავებული პრეპარატი თავდაპირველად გათვალისწინებული იყო როგორც სისხლის წნევის დასაწევი საშუ

გვაკლია წალკოტნი და სავარდენი

„მივედით, არ დაგვხვდა ვენახი“ — წერილის გამო

ჩვენი დედაქალაქის ზრდა-განვითარებისა და გამწვანების შემდგომი გაუმჯობესების აქტუალური საკითხები მწვავედ არის დასმული თენგიზ კვირკველიას („კომუნისტი“, 17. XII. 1986) და სიმონ კინწურაშვილის („კომუნისტი“, 19. XII. 1986) წერილებში, რომლებიც, თავის მხრივ, ამავე გაზეთის 1986 წლის 12 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილს — „მივედით, არ დაგვხვდა ვენახი“ — ეხმიანება.

დედაქალაქის გამწვანება — „წალკოტნი და სავარდენი“, ახალი პრობლემა როდია. ჯერ კიდევ საუკუნის წინათ ილიასეული „ივერია“ წერდა:

„დღეს ამოდენა ქალაქს მარტო ორი ბაღი აქვს: ერთი მუშტაიდი, მეორე ალეკსანდრეს ბაღი, მაგრამ მარტობობით იმოდენა ზემოქმედება არა აქვთ არც ქალაქის მცხოვრებლებზე, არც ქალაქის ჰაერზე, რამდენადაც სასუფევლი და სანატრელია... ქალაქი უნდა ეცადოს, რომ მტკვრის სანაპიროები შენობებს გადაარჩინოს იქ, სადაც დღეს გადარჩენა შეიძლება, და თუ ქალაქმა ეს ადგილები ბაღებად, ბულვარებად და ჭალებად აქცია, მაშინ ნახეთ ეს ჩვენი უგემური თბილისი რა სასიამოვნო ადგილად შეიქმნება“.

ამ გონივრულ რჩევა-დარიგებას ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. იქნებ ქალაქის თავსა და ბოლოში ახლა მაინც დავტოვოთ და გავაჯანსაღოთ გადარჩენილი მტკვრისპირა ჭალები.

სწორი არიან ის სპეციალისტები, რომლებიც აღნიშნავენ — თბილისის განაშენიანების სწორად წარმართვას ზშირად ისიც უშლის ხელს, რომ მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტი აშენდა ან შენდება მათთვის შეუფერებელ ადგილებში...

ამის ნათელი მაგალითია უნივერმაღები „თბილისი“ და ბავშვთა სამყარო, რომელთაც ძლიერ გადატვირთეს ისედაც ხალხმრავალი მოედანი და სატრანსპორტო კვანძები. ვფიქრობთ, ეს იმიტომ ხდება, ოომ ზოგი არქიტექტორი თუ სპეციალისტი მარტო თავის პროექტზე ფიქრობს და მის სარეალიზაციოდ ქალაქის ცენტრს ირჩევს, ხოლო დედაქალაქის ხელმძღვანელობა ამ საქმეს ნაკლებ უურადღებას აქცევს.

რაც შეეხება მწვანე ნარგავებს, ისინი ჟანგბადის ოაზისია, ამავე დროს ალამაზებს ჩვენს საცხოვრებელ თუ სამუშაო გარემოს, ქვეყნის საერთო ლანდშაფტს. სამწუხაროდ, საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავებით თბილისი საბჭოთა კავშირის მკაცრი კლიმატური პირობების მქონე ქალაქებს კვლავ ჩამორჩება.

საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავებს განკუთვნება მხოლოდ ქალაქის ფარგლებში არსებული კეთილმოწყობილი მწვანე მასივები — პარკი, რომლის ფართობი 5 ჰექტარს უნდა აღემატებოდეს, ბაღი — 2-5 ჰექტარი, სკვერი — 0,2-2 ჰექტარი და ბულვარი, ანუ შუაზე 8-40 მეტრი სიგანის ხეივნიანი ქუჩა. დანარჩენი სპეციალურად თუ განსაზღვრული სარგებლობის ნარგავობა (ფერდობების, ბაგეების, წარმოება-დაწესებულებათა ტერიტორიების გამწვანება, ნაკრძალები და სხვ.) ერთ სულზე არ იანგარიშება, რასაც ზშირად, როგორც ჩვენი, ისე სხვა ქალაქების ინვენტარიზატორები არ ითვალისწინებენ.

ცხადია, ეს სიმცირე თუ ჩამორჩენა გამოწვეულია იმითაც, რომ მოსახლეობისა და ქალაქის ტერიტორიის ზრდის ტემპს საგრძნობლად ჩამორჩებოდა მწვანე მშენებლობა. და ეს მაშინ, როდესაც პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავთა როგორც ფართობის ზრდას, ისე მოვლასა და დაცვას.

თბილისის გამწვანებისას გამოუსწორებელი, დიდი შეცდომები მოგვივიდა, ვინაიდან წლების მანძილზე არ სრულდებოდა გამწვანების ერთიანი, გენერალური გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამიტომაც, როგორც ძველ, ისე ახალ საცხოვრებელ დასახლებებში უკანასკნელი 35 წელიწადია პარკი არ გაშენებულა! ამავე დროს თავისუფალი ადგილები, რომლებიც ქალაქს პარკებით თუ ბაღებით გაამდიდრებდა ათეული წლების მანძილზე გაუმწვანებელი იყო. აი, მაგალითად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ლუდის ქარხნის დასავლეთით 15 ჰექტარამდე ფართობი, იქვე, მტკვრის გაღმა — ვაკეცნებისა და შრატის ინსტიტუტის უკან — 2 ჰექტარი, აკაკი წერეთლის პროსპექტის ბოლოძი — დაახლოებით 4 ჰექტარი, ყოფილი რიყის ტერიტორია — 5 ჰექტარი, ლენინის რაიონში, აგურის ქარხნის შემოგარენი — 5 ჰექტარი, თემქის ქარხნის სკვერის სიახლოვეს — 5 ჰექტარი და სხვ. ასევე აღებული 1-2-სართულიანი სახლების ადგილას შეიძლებოდა მრავალი დეკორატიული სკვერის გაშენება.

„მივედით, არ დაგვხვდა ვენახი“ წერილის და ზემოთ დასახელებული სტატიების ავტორები ახსენებენ ვაკის, ანუ გამარჯვების პარკს. არ უნდა დაგვავიწყდეს, იგი პროექტით 150 ჰექტარი უნდა ყოფილიყო. ახალი ინვენტარიზაციით კი პარკი 12 ჰექტარია და ისიც ისე გადატვირთულია ხმაურიანი გასართობებითა და არქიტექტურის მცირე ფორმებითა და ნაგებობებით, რომ იქ მყუდრო დასვენება გამორიცხულია. ამასთან პარკის ერთი მოზრდილი ნაწილი საბავშვო ბაღს უკავია, მაგრამ ფუნქციების აღრევას ვინ ჩივის, საბავშვო ბაღი ფართოვდება და პარკის სხვა ადგილებს ითვისებს. მთაწმინდის პარკიც, რომელიც გეგმით 160 ჰექტარი უნდა ყოფილიყო, ასევე საგრძნობლად არის შემცირებული.

უფრო ცუდ დღეშია ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. ერთ დროს 16-ჰექტარიან მუშტაიდს დღეს ორჯერ ნაკლები ფართობი უკავია. ასე რომ, პარკი არც ეთქმის — ბაღია...

თვალსა და ხელს შუა გაქრა ბარნოვის ქუჩაზე სახელოვანი დენდროლოგიისა და მამულიშვილის, პროფესორ სოლომონ ქურდიანის და მისი მოწაფეების ნახელავი დენდროლოგიური პარკი. აქ იყო თბილისისათვის იშვიათი ეგზოტების მდიდარი კოლექცია, მაგრამ რად გინდა, ძვირფასი ხეები მოჭრეს და „სასახლეები“ ააგეს. ჩემდა სამწუხაროდ, მაშინ თბილისის მთავარი აგრონომ-დეკორატორი ვიყავი. სად მეჩივლა?

ორი ათეული წლის წინათ საბურთალოში პავლოვის ქუჩასა და იპოდრომს შორის 18 ჰექტარ ფართობზე ახალი პარკის მშენებლობა დავიწყეთ. როგორც იქნა მოვასწარით 5 ჰექტარის გაშენება. ეს იყო და ეს. დანარჩენ ფართობზე უმალ ცათამბჯენთა ამოსაყვანი ამწეები აღმართეს...

კიროვის სახელობის ბაღიც ნაგებობებით გადაიტვირთა. ხოლო ქალაქის ცენტრში ზღაპრულ ქოლგასავით წამოჭიმულ ფილარმონიას მანქანების სადგომიც კი არა აქვს...

საცხოვრებელმა მასივებმა (მესამე მასივი, დიღმის მასივი, გლდანი და სხვ.) შეავიწროვეს საპარკო და საბაღო ადგილები, ეზოები. შეავიწროეს ისე, რომ ზოგან მზის სინათლეც ვერ აღწევს, ბავშვებისათვის სათამაშო ადგილიც არ დარჩა...

ვფიქრობთ, დიდი შეცდომაა ვარკეთილის 200-ჰექტარიანი ვენახის გაკაფვა — მისი ყურძენი მთელ თბილისს ერთ თვეს იყოფოდა; ხუდადოვის ტყესაც გასაჭირი ადგას. მშენებლები ხან აქ შეუტევენ და ხან იქ.

ასევე გაუმართლებელია დიდი დიღმის ნოყიერი სავარგულების გაუქმება და საცხოვრებელი მასივების აგება.

მაშ რა გამოვიდა, თბილისში პარკი არა გვქონია?

თითქოს შენება ორთაჭალაში 90 თუ 100-ჰექტარიანი „მეგობრობის პარკი“. მას აგებენ ქვაღორღითა და ბეტონის ლოდებით ამოვსებულ ადგილზე. თუმცა ასეთ „ნიადაგზე“ მერქნიანი მცენარეების გაბარება ხანმოკლე და ამაო წვალებაა.

ნუთუ არ შეიძლებოდა, მხოლოდ სანაპირო გზის ზოლის ამაღლება სანაპირო მოაჯირამდე, დანარჩენი სპარკე ფართობი კი 2-3 მეტრით დაბლა დარჩენილიყო? რა წაადა გამარჯვების პარკმა, 20 მეტრით რომ არის ჩავარდნილი? ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იქ მიმდინარეობს სპორტული მრავალსართულიანი შენობების აგება, რაც სპორტული პარკის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. ერთი სიტყვით, ეს მშვიდი დასვენება და „ფიქრთ გასართველად“ მოსვლა ოცნებად რჩება. ხოლო თბილისის ზღვაზე გატყეევებული „უეშენის გორის“ საბავშვო პარკად გადაკეთების სამუშაოები ნელა ტემპით მიმდინარეობს. წლეულს ძვირფასი ნარგავების ნაწილი ოთხჯერ გადაიწვა ხანძრისაგან და არც პირუტყვი აყრის კარგ დღეს.

აკადემიკოსები ნიკო კეცხოველი და ვასილ გულისაშვილი, როდესაც განიხილავდნენ ჭალების ერთ-ერთი უბნის გამწვანების საკითხს, არქიტექტორებსა და გამწვანების მუშაკებს მოუწოდებდნენ, თუ არ შეგიძლიათ ახალი პროექტის შედგენა, წინანდლის პარკის ასლი მაინც გადაიღეთ — სტილის თავისებური შენარჩუნებით, საპარკო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ელფერით, თავისი შესანიშნავი მხატვრული დაგეგმარებითა და მრავალფეროვანი მცენარეებითო. ამ სიტყვებში ერთგვარი ირონიაც გამოკრთის.

რაც შეეხება წინანდლის, უცხოეთშიც კი ცნობილი ლანდშაფტურ-პეიზაჟურ პარკს, იგი უკვე ბერდება და სასურველია მისი პირვანდელი სახის აღდგენა.

მაგრამ სად, რომელ სანერგეში ვიშოვით 250-მდე სახეობის ჰიბრიდებისა და ბაღური ფორმების სარგავ მასალას?

ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ წინანდლის პარკს დიდი ზიანი მიაყენეს „სპეციალისტებმა“: ჯერ იყო და, ღვინის ქარხნის გაფართოებისას შეამცირეს პარკის ფართობი, ხოლო შემდეგ დაანგრიეს ერეკლე მეორისა და გარსევან ჭავჭავაძისეული სასახლე და მის მაგივრად ააგეს ამ ლანდშაფტური პარკისათვის სელმა კი გარაჟისათვის 25 ძირი ალვის ხე თვალის დახამხამებაში წამოაქციო...

საგულისხმოა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, აგრეთვე ტყეებით მდიდარ ფინეთში სახლებს და მთელ უბნებს ისე აგებენ, რომ ხე არ მოიჭრას და არ დაზიანდეს.

ქალაქის მთავარი მხატვარი ოთარ ლიითანიშვილი ამ ოთხ წლის წინათ აღნიშნავდა, ჩვენს ბაღ-პარკებს შემოქმედის ხელი აკლია, არ იგრძნობა მხატვრის მონახაზი, მაღალგემოვნებიანი გადაწყვეტაო.

სწორი შენიშვნაა, თანამედროვე ქალაქის სილამაზე, მისი ეკოლმოწყობის მაღალი დონე დიდად არის დამოკიდებული კარგ ფიტოპროექტზე, საბაღო-საპარკო ხელოვნებაზე, მთავარია სარგავი მასალის შერჩევა-შეთანწყობა, მათი მხატვრული განლაგება, პერსპექტივის კანონების დაცვა, რიტმი, მასშტაბი, კონტრასტი, ფერი, წონასწორობა, შუქჩრდილები და სხვ.

რა სჯობს მაისში თბილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა...

ასე უმღეროდა თბილისის მშვენიერებას ვახტანგ VI. დღეს „მზისა და ვარდების“ დედაქალაქს“, მის მთავარ ქუჩებს, მოედნებსა და პროსპექტებს აშკარად არ ჰყოფნით „წალკოტნი და სავარდენი“, ყვავილები, ბუჩქები და ხეები.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია. ჩვენდა სამარცხვინოდ, ასიათასობით სარგავ მასალას კეცავენ, როსტოვში, ნალჩიკში, ტაშკენტსა თუ სხვა ქალაქებში ვყიდულობთ, ცხადია, ეს ასეც იქნება, რადგან დიღომში 250-ჰექტარიანი თბილისისა და სხვა ქალაქების მომმარაგებელი სანერგე გავუქმეთ. ბულდოზერებმა ნოყიერი სავარგულები და ათასობით ნერგი გადათელეს და ეს წალკოტი კინომრეწველობასა და საცდელ ინსტიტუტებს დავუთმეთ, თითქოს მათი აგება სხვა ცარიელ ადგილზე არ შეიძლებოდა?!

ჩვენი წინაპრები კარგად, ყაირათიანად იყენებდნენ თითოეულ გოჯ მიწას. ამის ნიმუშია სამხრეთ საქართველოში მთის ფერდობებზე შეფენილი სოფლები და ტერასები, მეზობელი დაღესტნის აულები. ვაკის პარკის გასწვრივაც ენთუზიასტმა მშენებლებმა ტერასებზე მშვენიერი სახლები წამოჭიმეს, ხოლო კარ-მიდამო ვარდებითა და ხეხილით დაამშვენეს, ჩვენი აზრით, დედაქალაქის ჯერ კიდევ მოშიშვლებული ფერდობების დასახლება და გამწვანება ამ ტრადიციების გათვალისწინებით უნდა წარმართოს.

თბილისში თუ მის გარშემო ბუნებრივი ლანდშაფტების გამდიდრება-გაჯანსაღება, განსაკუთრებით პარკებისა და ტყეების გაშენება და ნადირ-ფრინველის გამრავლება, რასაკვირველია, მარტო სპეციალისტების, არქიტექტორების, მხატვრებისა და ქალაქის სხვა მესვეურთა საქმე არ არის. ყველა თბილისელის სისხლ-ხორცეული საქმეა, თითოეული თბილისელისათვის ყოფნა არყოფნის საკითხია.

შესანიშნავად უთქვამს სახელოვან მწერალს და მამულიშვილს, ბუბანის დიდ ქომაგს ლევან გოთუას: „დღეს საქართველოში ერთმაირადაა საჭირო ტყეებისა და შვლების გამრავლებაო“. ცხადია, დედაქალაქის გონივრულ გამწვანებაზეც იგივე ითქმის.

ი. ხმალაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მხატვარ-დეკორატორი, სახალხო უნივერსიტეტის გამწვანებისა და მეუვავილეობის ფაკულტეტის დეკანი.

თბილისური პრემიერები

სეზონის დასკვნითს პროგრამას ეწოდება „ალე-აპ!“, რომელსაც ამ დღეებში უჩვენებენ თბილისის სახელმწიფო ცირკის არენაზე.

ილუზიონისტები და ტანმოვარჯშეები, ეონგლიორები და აკრობატები, მომთვინიერებლები, ეკვილიბრისტები და კლოუნები — ვის არ ნახავთ ცირკის მსახიობთა კოლექტივის მრავალფეროვან წარმოდგენაში, რომელსაც ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ვალერი პანტელემეენკო ხელმძღვანელობს.

სურათზე: პარიზში გამართული კლოუნების საერთაშორისო კონკურსის ვერცხლის მედლის მფლობელები სერგი სოლომატინი და ვლადიმერ სტოლიაროვი.

გ. ცაგარელია და ვ. პეტროსიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ბორკა“, რომელიც ფოთსა და სოხუმში ცხოვრობს

ფოთში მას ბორკას უწოდებენ, სოხუმში კი ჯერ არ მოუნათლავთ. მაგრამ მის გამოჩენას შავი ზღვის ორივე ნავსადგურის მახლობლად მოუთმენლად ელიან ბავშვებიც და უფროსებიც, ყველანი, ვისაც შეუყვარდა დელფინი, რომელიც ზამთრის შემდეგ ჯერ ფოთში მიცურდა, მერე კი სოხუმში.

ტურისტები, რომლებიც სეირნობენ სამგზავრო თბომავლებით, სეირნერებითა და მოტორიანი ნავებით, ზღვაში გასული მეთევზეები ახალი თევზით უმასპინძლდებიან ბორკას, ტკბებიან მისი ლამაზი ნახტომებით, სასაცილო წაწვეტებულ დერუნჩით, ცნობისმოყვარე თვალებით, მადლიერებით რომ შეჰყურებენ კეთილ ადამიანებს.

საინტერესო „უფასო“ ატრაქციონის გარდა შავი ზღვის ნავსადგურებთან დელფინის ყოფნა მოწმობს სანაპირო წყლების სიხუფთავეს, ბუნების დაცვის ღონისძიებათა ეფექტიანობას.

სურათზე: ბორკა ფოთის ნავსადგურთან.

ბ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲧᲐᲠᲓᲔᲜᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘᲡ ᲥᲘᲣᲑᲐᲨᲘ

ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ გადავხედოთ გათამაშების ცხრილს, რომელშიც უმაღლესი ლიგის გუნდები საკავშირო ჩემპიონატის მეექვსე ტურის მატჩების შემდეგ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდნენ:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	**5**	**1**	**0**	**18-8**	**11**
„ტორპედო“ Მ	**4**	**1**	**1**	**6-2**	**9**
ცსკა	**3**	**1**	**2**	**8-5**	**7**
„დინამო“ ᲛᲒ	2	3	1	4-3	7
„დნეპრი“	2	2	2	9-5	6
„ყალგირისი“	2	2	2	7-7	6
„მეტალისტი“	2	2	2	6-7	6
„დინამო“ Მ	2	2	2	5-6	6
„შახტიორი“	1	3	1	4-4	5
„ზენიტი“	1	3	2	4-9	5
„დინამო“ Კ	2	0	1	10-3	4
„არარატი“	2	0	4	4-13	4
„გურია“	1	2	2	3-4	4
„ნეფთჩი“	1	2	3	4-8	4
„დინამო“ თბ	**1**	**1**	**3**	**5-6**	**3**
„ყაირათი“	**1**	**1**	**4**	**1-8**	**3**

განვლილმა ტურმა ბოლოს და ბოლოს თბილისის დინამოელებს პირველი გამარჯვება მოუტანა (3:0). მართალია, ამჯერად მეტოქე — ალმა-ათის „ყაირათი“ ისეთი ძლიერი კოლექტივი არ იყო, რომელთანაც თუნდაც დიდი ანგარიშით მოგება შორს მაჩვენებელი დასკვნების საფუძველს. იძლეოდეს, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ „დინამომ“ გადალახა ის ზღუდე, რომელიც მის წინაშე კარგა ხანს იყო აღმართული, მისასალმებელია. ცხადია, ამის გამო ზარ-ზეიმი ნაადრევი იქნება. უბრალოდ, ამჯერად სათამაშო რგოლებს შორის ურთიერთმოქმედებაში მეტმა სიზუსტემ იჩინა თავი და სწორედ ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ სამი საიერიშო მანევრი გოლებით აღინიშნა: ჯერ ცაავას განივი და ზუსტი პასი „ყაირათის“ კართან დადარაჯებული ჩელებაძისაკენ, რომელმაც თავური დარტყმით დაადგინგვინა წამოწყებული იერიში, შემდეგ ცაავას რეიდი მის მიერვე კარის აღებით დამთავრებული, ბოლოს კი კარგად გათამაშებულმა სამსვლიანმა კომბინაციამ (ჩივაძე-ჩელებაძე-კაკილაშვილი) „დინამოს“ წლევანდელ სეზონში პირველი და თანაც დიდი ანგარიშით გამარჯვება მოუტანა. ერთი სიტყვით, ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. რის შემძლეა კოლექტივი, მან ეს მომავალ მატჩებში უნდა გამოავლინოს სასიკეთო გარდაქმნით. ეს, ალბათ, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა იგი აუტსაიდერის უსიამო წოდებას გამოეშვიდობება.

რაც შეეხება ლანჩხუთის „გურიას“, მისი სატურნირო მდგომარეობა ახლა თბილისის „დინამოსთან“ შედარებით ოდნავ უკეთესია და თავისი შესაძლებლობების გამოვლენაშიც ერთგვარად უკეთ გამოიყურება. გუნდი გამბედულად იბრძვის, ილტვის გამოცდილების შეძენისა და უმაღლეს ლიგაში დამკვიდრებისათვის. „გურია“, „ზენიტთან“ მატჩში თითქოს ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ ლენინგრადელთა კარში ხლუსის მიერ 63-ე წუთზე გატანილი ბურთის შემდეგ რაღაც ერთ წუთში მცველთა დასანანმა შეცდომამ ლანჩხუთელებს მხოლოდ ფრე (1:1) არგუნა.

ასეა თუ ისე, ჯერჯერობით საქართველოს ორივე გუნდის მდგომარეობა მერყეევია. ორივე ჯერ კიდევ იმ საყრდენი წერტილის ძიებაშია, რომელზეც დაფუძნება ალბათ ერთსაც და მეორესაც წარმატების სასიკეთო პირობებს შეუქმნის.

ჯ. ენუქიძე.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ანაბრის მოგებათა 89-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. თბილისში 1987 წლის 1 აპრილს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან
ა— 20	50 პროცენტი	ა—534	50 პროცენტი
ა— 60	25 პროცენტი	ა—566	25 პროცენტი
ა— 96	25 პროცენტი	ა—612	25 პროცენტი
ა—124	25 პროცენტი	ა—661	25 პროცენტი
ა—184	25 პროცენტი	ა—682	200 პროცენტი
ა—233	25 პროცენტი	ა—733	25 პროცენტი
ა—262	25 პროცენტი	ა—776	25 პროცენტი
ა—293	25 პროცენტი	ა—826	25 პროცენტი
ა—335	25 პროცენტი	ა—859	25 პროცენტი
ა—363	100 პროცენტი	ა—896	25 პროცენტი
ა—436	25 პროცენტი	ა—945	25 პროცენტი
ა—458	25 პროცენტი	ა—968	100 პროცენტი
ა—486	25 პროცენტი		

შენიშვნა: თუ შემნახველ სალაროში ანგარიშის რიცხვი 1000-ს აღემატება, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. ა—20, ა—1020, ა—2020, ა—60, ა—1060, ა—2060 და ასე შემდეგ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲤᲣᲚᲘᲡᲐ და ნივთების მომგებიანი ანაბრების მოგებათა VII ტირაჟისა, რომელიც გაიმართა ქ. თბილისში 1987 წლის 1 აპრილს.

მოგება ხვდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების შემდეგ ნომრებს:

ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან	ანგარიშების №№	მოგებათა ოდენობა პროცენტებით ანაბრის საშუალო თანხასთან
ვ— 13	25 პროცენტი	ვ—534	50 პროცენტი
ვ— 52	25 პროცენტი	ვ—562	25 პროცენტი
ვ—100	25 პროცენტი	ვ—633	25 პროცენტი
ვ—154	25 პროცენტი	ვ—648	25 პროცენტი
ვ—186	25 პროცენტი	ვ—695	25 პროცენტი
ვ—230	50 პროცენტი	ვ—736	25 პროცენტი
ვ—250	25 პროცენტი	ვ—784	25 პროცენტი
ვ—313	25 პროცენტი	ვ—813	25 პროცენტი
ვ—359	25 პროცენტი	ვ—869	25 პროცენტი
ვ—399	25 პროცენტი	ვ—912	25 პროცენტი
ვ—428	100 პროცენტი	ვ—927	25 პროცენტი
ვ—441	100 პროცენტი	ვ—963	200 პროცენტი
ვ—505	25 პროცენტი		

შენიშვნა: თუ შემნახველ სალაროში ანგარიშის რიცხვი 1000-ს აღემატება, ყველა მომდევნო ათასეულში მოგება ხვდა იმავე ანგარიშებს, რომლებიც პირველ ათასეულშია, ე. ი. ვ—13, ვ—1013, ვ—2013, ვ—52, ვ—1052, ვ—2052 და ასე შემდეგ.

მეანაბრეს შეუძლია მის ანგარიშზე მოგებული თანხის საშუალებით შეიძინოს ჩამონთვალში აღნიშნული საქონელი, რომლის ღირებულება 25 პროცენტით მეტია მის ანგარიშზე ხვედრილი მოგების თანხაზე.

№№	ნივთმოგების დასახელება	ღირებულება
1.	ავტომანქანა ჟიგული „ვაზ-21063“	9000
2.	იმპორტული ავეჯის გარნიტური (საშუალო ფასი)	1200
3	მაცივარი „მინსკი“	455
4.	სარეცხი მანქანა „ვიატკა“	400
5.	ელექტროხორცსაკეპი	25
6.	ელექტროყავასაფქვავი	14

კომისიის თავმჯდომარე — ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — თ.ა. მამფორია.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის სახშრომშემსახურეობის საქართველოს მთავარი რესპუბლიკური სამმართველოს ანაბრების, ხესხების და ლატარიის განყოფილების უფროსი — ვ. რ. ᲛᲘᲛᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

პასუხისმგებელი მდივანი — სსრ კავშირის სახშრომშემსახურეობის საქართველოს მთავარი რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი — ზ. ვ. ᲩᲘᲢᲐᲫᲐᲫᲔ.

11-12 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ რაიონში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ხსოვნის დღის აღნიშვნა, რომლის ლამაზად და შთამბეჭდავად მოწყობისათვის პარტიის რაიონული კომიტეტი წინასწარ ადგენს სპეციალურ გეგმას.

— გარკვეული გამოცდილება უკვე დაგვიგროვდა, — ამბობს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე დავით თურქაძე. — ახლაც გეგმაში ყველაფერი გავითვალისწინეთ: ქალაქშიც და სოფლებშიც მოეწყობა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი სპეციალური თვალსაჩინოება, საჯარო ობიექტებსა და დასახლებულ პუნქტებში მასობრივად გაიყიდება საჭირო ინვენტარი, ნერგები, ყვავილები.

რაიონის მოსახლეობის, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით კეთილმოეწყობა სასაფლაოები, საბრძოლო დიდების მემორიალები, სადაც გაიმართება პიონერული ხაზები. ყვავილებით და გვირგვინებით შეამკობენ შინმოუსვლელთა ობელისკებსა და სტენდებს, საფუძველი ჩაეყრება სახელობითს ხეივნებსა და კუთხეებს.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული აქტივი შემოიკრიბა ომის ყველა ფარცხანაყანევში. საინტერესო მასობრივი ღონისძიებები პატივი მიეგო ყველას ხსოვნას, ვინც კეთილსინდისიერი შრომითა და თავგანწირული ბრძოლით ნაათელი კვალი დატოვა.

ხსოვნის დღის ჯეროვნად მოწყობის მიზნით პარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის ბიუროზე დამტკიცებულია სპეციალური კომისია. სამუშაოები მიმდინარეობს.

დასუფთავდება და კეთილმოეწყობა შინმოუსვლელთა მემორიალური სტენდები, სასაფლაოები, მათთან მისასვლელი გზები. სასაფლაოთა ტერიტორიებზე გაიყიდება ნერგები, ყვავილები, ბაღის ინვენტარი, საღებავები და სხვ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაიმართება მიტინგები, კრებები, მუშად და კოლმეურნედ აკურთხებენ ახალგაზრდებს, ოქტომბრელთა და პიონერთა რიგებში მიიღებენ ნორჩებს, კომკავშირულ ბილეთებს გადასცემენ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, დაჯილდოებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ.

მოეწყობა სხვადასხვა მასობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიება, თემატური საღამოები: „რჩება ხსოვნა, რჩება კვალი“, „გმირები არ კვდებიან“, „რაც დავიწყებით არ იბინდება“, „ხსოვნა მომავლის თვალის ჩინია“, „კაცი, რომელიც დაკლდა სოფელს“ და სხვ.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲠᲐᲒ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲑᲘᲜᲓᲔᲑᲐ

ᲣᲙᲕᲔ რამდენიმე წელია ქ. წყალტუბოსა და მის ზონაში მოსახლეობისა და კურორტზე ჩამოსულ დამსვენებელთა მონაწილეობით ორგანიზებულად ეწყობა ხსოვნის დღე. მის აღსანიშნავად აიგო შარშან მემორიალური კომპლექსი გვიშტბის სასაფლაოზე და შინმოუსვლელთა ობელისკი სოფელ ფარცხისაში.

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲡ თეატრის შემოქმედებას დღეს კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი. აქ, ამ ტაძრის უჩვეულო გარემოში მას არაერთხელ განუცდია ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრის სიხარული. წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით ფეხბედნიერი აღმოჩნდა თეატრისათვის. საინტერესო რეპერტუარით წარდგა იგი მაყურებელთა წინაშე: ე. ნიხოშვილის „პარტახი“ და დ. კლდიაშვილის „უბედურება“, მ. დოლიძის „მდგმურები“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“, ა. ვარსიმაშვილის „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“ და სხვა. სპექტაკლების საინტერესო რეჟისორულმა გადაწყვეტამ და მსახიობთა ანსამბლურობამ ერთხელ კიდევ ცხადყო მეტეხის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის ნიჭიერება. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში მოწყობილ განხილვაზე სპექტაკლებმა „პარტახი“, „უბედურება“ და „მდგმურები“ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მეტეხის თეატრმა კვლავ დაუბრუნა ეგნატე ნინოშვილი ქართული თეატრის სცენას, — აღნიშნა ვ. კიკნაძემ, — და არა მარტო დაუბრუნა, სრულიად ახლებურად დაგვანახვა ეს საინტერესო მწერალი. დაგვანახვა ადამიანთა ურთულესი შინაგანი ფსიქოლოგიური სამყარო. რეჟისორის საყურადღებო სცენოგრაფიულ გადაწყვეტად უნდა ჩაითვალოს ადამიანის ცხოვრების სალეწ კალოდ ქცეული მოედნის ჩვენება, რომელიც ბედისწერის მეტაფორულ სახედ აკითხება სპექტაკლში. ასევე საინტერესოდ და ყოველგვარი იაფფასიანი სანახაობრიობის გარეშე წარმოგვიდგეს დამდგმელი ჯგუფი